

საქართველოს
თავისუფლება
საბავშვო ჟურნალი
1961

4 1961





ს. თ. ს.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების

მ ო ე მ ბ ე

F-2499

19 თბილისი 61

მწიბრი, ავვისტო, სმტამიბანი, ოტტომბანი, ნომბანი, დეკემბანი

№ 4 (18)



რედაქტორი: შ. აფსანიძე

საკრედიტო კოლეგია:

აღიიო ადამია, ვერიკო ანჯათარაძე,
თამარ ბაქრაძე, ოთარ ევაძე, ლილი
ლომთათიძე, შალვა მეზურიშვილი,
ნინო შვანგირაძე.



საზოგადოების ამოცანები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა, — კომუნიზმის მშენებელთა ყრილობა, უმნიშვნელოვანესი ეტაპია მსოფლიო ისტორიის განვითარებაში. ამ ყრილობამ ჩვენს წინაშე გადაწალა საბჭოთა ქვეყნის შესანიშნავი აწმყოსა და ნათელი მომავლის შთამავლებელი პერსპექტივები.

სკკპ XXII ყრილობამ, რომელმაც თანამედროულად გააგრძელა და განავითარა სკკპ მე-20 ყრილობის მიერ დაწყებული ძვრები, ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში შეიტანა უდიდესი ცვლილებები. ყრილობამ 20 წლით ადრე განსაზღვრა როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე მთელი მსოფლიოს ხალხთა ბედი. ჩვენი ახლანდელი თაობა კომუნიზმში იცხოვრებს—ასე დაადგინა კომუნიზმის მშენებელთა ყრილობამ და ეს ასეც იქნება.

ჩვენ, თეატრალური ხელოვნების მოღვაწენი თვალს ვავლებთ განვლილ გზას და სიამაყით ვაცხადებთ, რომ საბჭოთა ხალხის იმ გრანდიოზულ მიღწევებში, რომლებმაც განაპირობეს ჩვენი ასეთი მიახლოება კომუნიზმის კარიბჭესთან, არის ჩვენი შემოქმედებითი შრომის შედეგიც.

დიდა ჩვენი მიღწევები ღრმა პარტიული, თავისი შეინარსით ჰუმანური და თავისი ოსტატობით მაღალმახტვრულ თეატრალურ ნაწარმოებთა შექმნის საქმეში, ეს მიღწევები რაზმავდნენ ხალხს შემოქმედებითი შრომის ფრონტზე, უნერგავდნენ მას სამშობლოსა და პარტიის სიყვარულს, უღვივებდნენ საუკეთესო გარდნობებს, ძალას მატებდნენ ხალხს და ხდიდნენ უშიშარს ყოველგვარი სიძინელების წინაშე.

დღეს, სკკპ XXII ყრილობის შემდეგ, საბჭოთა თეატრალური ხელოვნების წინაშე დგას ახალი ამოცანა: შექმნას კომუნისტური დროის შესაფერი ახალი ნაწარმოებები.

სკკპ პროგრამაში წერია: „საბჭოთა ლეიტერატურა და ხელოვნება, რომლებიც გამსჭვალული არიან ოპტიმიზმითა და ცხოველ-

მყოფელი კომუნისტური იდეებით, დიდ იდეურ აღმზრდელით როლს ასრულებენ, საბჭოთა ადამიანს უნვითარებენ ახალი სამყაროს მშენებლის თვისებებს, ისინი მოწოდებული არიან იყენენ სიხარულისა და შთაგონების წყარო მილიონობით ადამიანისათვის, გამოხატავდნენ მათ ნებას, გრძნობებსა და ფიქრებს, იყონ მათი იდეური გამდიდრებისა და ზნეობრივი აღზრდის საშუალება“.

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის მეტად დიდ და საპასუხისმგებლო საქმეში, ჩვენ, თეატრის მუშაკებს პარტია გვისახავს ამოცანას, აქტიური მონაწილეობა მივიღოთ ახალი ადამიანის აღზრდა-ჩამოყალიბების საქმეში.

პარტიას სურს იხილოს ახალი საზოგადოების მშენებელი ადამიანი, რომელიც გამსჭვალულია კომუნისტური იდეებით, იხილოს კომუნიზმის საქმისათვის აქტიური მებრძოლი. პარტიამ განსაზღვრა კომუნიზმის მშენებელთა მორალური კოდექსი, რომელშიაც მოცემულია უმაღლესი ზნეობრივი პრინციპები. აი აქედან გაპომდინარეობს საპატიო და კეთილშობილური ამოცანა, რომელიც დგას თითოეული მოღვაწის წინაშე—დანერგოს ეს პრინციპები ხალხთა მსგებში, რათა ისინი იყენენ სანიშნოზონი და სამაგალითონი კომუნისტური მორალის დაცვის მხრივ.

საბჭოთა თეატრი გარემოცულია კომუნისტური პარტიის, მთავრობისა და ხალხის სიყვარულთა და ყურადღებით, ეს სიყვარული გაპირობებულია საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილებით, იმით, რომ ჩვენს საზოგადოებაში ყველაფერი ადამიანისათვის კეთდება; ხალხის მატერიალურ-საყვავაცხოვრებო და კულტურის აღმავლობა არის ის ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს საბჭოთა ხელოვნების აყვავებას. ჩვენ ყველა პირობა გვაქვს იმისათვის, რომ თეატრი იდგეს თანამედროვე ამოცანების სიმალღეზე, იმ ამოცანებისა, რომელთაც ჩვენს წინაშე აყენებს ჩვენი მშობლიური პარტია. ამ ამოცა-



ნების გადაწყვეტა დამოკიდებულია მხოლოდ ჩვენზე, თეატრალურ მოღვაწეებზე, ჩვენს ენერჯიაზე, ჩვენს მსოფლმხედველობაზე, ჩვენს ოსტატობაზე.

საქართველოს თეატრალური მოღვაწენი მოწოდებულნი არიან თავიანთი წვლილი შეიტანონ კომუნისმის მშენებლობის საქმეში. ამჟამად თეატრის ყველა მუშაკს მოეთხოვება თვითონ იყოს სამაგალითო, თვითონ ფლობდეს იმ თვისებებს, რომლებიც უნდა დანერგოს და განავითაროს მაყურებელში:

პარტიის პროგრამაში სწერია, რომ: „ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში მთავარი ხაზია კავშირის განმტკიცება ხალხის ცხოვრებასთან, სოციალისტური სინამდვილის სიმდიდრისა და მთავალფეროვნების მართალი და მაღალმატარული ასახვა, ახლის, ნამდვილად კომუნისტურის შთაგონებული და მკაფიო წარმოსახვა და ყოველივე იმის მიხედვა, რაც ხელს უშლის საზოგადოების წინსვლას“.

პარტიის პროგრამული დებულებანი ითვალისწინებენ სოციალისტური სახელმწიფოებრივობიდან კომუნისტურ თვითმართვლობაზე გადასვლას, ამასთანავე მთელი ჩვენი ცხოვრების შემდგომ დემოკრატიზაციას, საზოგადოებრივი ორგანიზების როლისა და დანიშნულების შემდგომ ამაღლებას.

კულტურული მშენებლობის სფეროში გთავალისწინებულია ხელმძღვანელი ფუნქციების სახელმწიფოებრივიდან საზოგადოებრივ ორგანიზებზე გადასვლა. ამასთან დაკავშირებით უნდა გაძლიერდეს და გააქტივდეს ხელოვნების ყველა დარგში, მთ შორის თეატრალურ ხელოვნებაშიც, საზოგადოებრივი საქმიანობა, საზოგადოებრივი აზრის ფორმირება. ეს მდგომარეობა საგრძნობლად ზრდის თეატრალურ საზოგადოების პასუხისმგებლობას.

საზოგადოებრივმა აზრმა აქტიური ზემოქმედება უნდა მოახდინოს თვით კრიტიკოსების აღზრდაზე, არ უნდა დაუშვას თეატრალური ხელოვნების მუშაკთა მიერ იდეურ-მხატვრული დონის ოდნავ შესუსტებაც კი. საქმე ისაა, რომ ჯერ კიდევ იშვიათად იმართება დისკუსიები ხელოვნების პრობლემებისადმი მიძღვნილ საკითხებზე. თითქმის არ იმართება დისკუსიები ესთეტიკურ და ეთიკურ საკითხებზე, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას. არასაკმაოდ ეწყობა სპექტაკ-

ლების საჯარო განხილვები, და თუ ეწყობა, უგულვებელყოფილი რჩება პრინციპული კრიტიკა, პირდაპირი და გულახდილი ლაპარაკი; ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ გაშლილი შემოქმედ მუშაკთა საზოგადოებრივი აქტიურობა და პრინციპულობა თეატრალური ხელოვნების თეორიისა და პრაქტიკის აქტუალური საკითხების განხილვისას.

საქიორა თეატრალური საზოგადოების პრეზიდენტი და მისმა შემოქმედებითმა განყოფილებამ გადაამწყვეტი ზომები მიიღოს აღნიშნულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის.

საზოგადოების პრეზიდენტი, ადგილებზე კი რწმუნებულნი, ვალდებული არიან აქტიურად ჩააბან თეატრალური მოღვაწენი კომუნისტური საზოგადოების აგების კონკრეტული საკითხების გადაწყვეტაში. ყრილობის გადაწყვეტილებანი თეატრალური საზოგადოების ყველა წევრის წინაშე აყენებენ გადაუდებელ ამოცანას—გააძლიერონ თეატრალური საზოგადოების საქმიანობა, რათა მთელი მისი ძალა და შესაძლებლობანი მოხმარდეს სამკოთა თეატრის შემდგომი აღმავლობის საქმეს.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების წევრები, პირველ რიგში კი გამაგობის წევრები, კომისიები და სექციები მოწოდებული არიან გააძლიერონ მომთხოვნილობა რეპერტუარისა და სპექტაკლების ხარისხის მიმართ, რაც ხელს შეუწყობს ისეთი უფერული პიესების განდევნას სცენიდან, რომლებიც არ წარმოადგენენ სიხარულისა და შთაგონების წყაროს, და ნაკლებ გავლენას ახდენენ ხალხის აღზრდაზე. საზოგადოების აქტივე უნდა გახდეს საზოგადოებრივი აზრის შექმნის ინიციატორი ცალკეული სპექტაკლების გარშემო და ამავე დროს უნდა იბრძოდნენ მილიანად სოციალისტური რეალიზმის პრინციპებისათვის, მაღალი მხატვრული ოსტატობისათვის.

უნდა დაიარაზოს თეატრალური საზოგადოების მთელი ძალეები, ჩვენს ორგანიზაციის ყველა წევრის იდეოლოგიური მუშაობა უნდა დაემორჩილოს სკპ პროგრამის ღრმად განმარტებას; უნდა მოხდეს საზოგადოების წევრთა მობილიზაცია პროგრამით დასახულ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებისათვის.

საქიორა ავამაღლოთ თეატრალური კრიტიკის პარტიული დონე, მივალწიოთ თეატრალურ კრიტიკოსთა პროფესი-



ულ დაოსტატებას. ფართოდ ჩავაბათ კრიტიკოსები და რეცენზენტები თეატრალური საზოგადოების მიერ ჩატარებულ დისკუსიებში, სემინარებში, კონფერენციებზე და სხვა ღონისძიებებში.

დროა გავამახვილოთ თეატრალური საზოგადოებისა და რესპუბლიკური თეატრების ხელმძღვანელთა ყურადღება გასვლითი სპექტაკლების ხარისხიანობაზე, ვინაიდან ეს გასვლითი სპექტაკლები ხშირ შემთხვევაში არ არის ტექნიკურად გამართული და მხატვრულად სრულყოფილი, რაც იწვევს სოფლის მათურებელთა სამართლიან უკმაყოფილებას.

თეატრალური საზოგადოების მხრივ ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა სახალხო თეატრებს. ხშირ შემთხვევაში სახალხო თეატრები არ არიან დაკომპლექტებული პროფესიონალური რეჟისორებითა და მხატვართა კადრებით, რაც საგრძობლად მოქმედებს მათ შემოქმედებაზე.

სახალხო თეატრების მსახიობთათვის თეატრალური საზოგადოება ჯერ კიდევ ნაკლებად მართავს ლექცია-მოსხენებებს მსახიობის ოსტატობის, მეტყველებისა და პლასტიკის საკითხებზე.


სახალხო თეატრი თეატრალურ საზოგადოების პრეზიდენტის მუდმივი ყურადღების საგნად უნდა იქცეს, თეატრალურმა საზოგადოებამ ხელი უნდა შეუწყოს სახალხო თეატრების შესაფერი კადრებით დაკომპლექტებასა და მათ პროფესიულ დაოსტატებას.

სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებების გვეალებს გავამახვილოთ ყურადღება მოზარდი თაობის აღზრდის საკითხებზე. თეატრალური საზოგადოების უპირველესი ამოცანაა განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინოს მოზარდ-მაყურებელთა და თოჯინების თეატრების საშუალებით ბავშვთა კომუნისტურად აღზრდის საქმეში.

თეატრალური საზოგადოების მოღვაწეობის საზოგადოებრივი საწყისების შემდგომი განვითარების მიზნით პრეზიდენტმა მომავალ ყრილობისათვის უნდა შეიტანოს საჭირო ცვლილებები საზოგადოების წესდებაში.

თავის საბოლოო სიტყვაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა პარტიის XXII ყრილობაზე თქვა:—„ჩვენი მიზანი, ნათელია, ამოცანები გარკვეული, შევუდგეთ მუშაობას, ამზანაგებო, კომუნისტის ახალი გამარჯვებისათვის“.

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ თავის მორიგ პლენუმზე, რომელიც მან მიუძღვნა სკკპ XXII ყრილობის შედეგებს, სათანადო ანალიზი გაუკეთა თეატრალურ სარბიელზე არსებულ მდგომარეობას და მიიღო შესაფერი ერთსულოვანი გადაწყვეტილება: მოახმაროს მთელი თავისი შემოქმედებითი ენერგია, ცოდნა და გამოცდილება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეს.





ტ. გ. შვიკინკოს სახელობის
ღნებროპეტროვსკის სახელმწიფო
დრამატული თეატრის საგასტრო-
ლო სპექტაკლების განხილვა

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოე-
ბამ თავის საზაფხულო ბაღის შენობაში 24
ივლისს მოაწყო შეგჩენკოს სახელობის უკრა-
ინული თეატრის საგასტროლო სპექტაკლე-
ბის განხილვა.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საზო-
გადოების თავმჯდომარემ, ხელოვნების დამ-
სახურებელმა მოღვაწემ მიხეილ მრეველიშვი-
ლმა, რომელმაც ხაზი გაუსვა იმ გარემოებას,
რომ სხდომამ უნდა ჩაიაროს არა საზეიმო,
არამედ საქმიან ვითარებაში, რათა სპექტაკ-
ლის ფულწრფელმა, პირუთენელმა და პრო-
ფესიულმა შეფასებამ ხელი შეუწყოს შეგჩენ-
კოს სახელობის თეატრს მომავალი შემოქ-
მედებითი ცხოვრების წარმატებით წინს-
ვლაში.

მომხსენება თემაზე: „ტ. გ. შეგჩენკოს სახე-
ლობის ღნებროპეტროვსკის სახელმწიფო
დრამატული თეატრის საგასტროლო სპექ-
ტაკლები“ წაიკითხა ხელოვნებისმცოდნეობის
კანდიდატმა, დოცენტმა ნადეჟდა შალუტა-
შვილმა.

ვიდრე მომხსენებელი სპექტაკლების ანა-
ლიზზე გადავიდოდა, მან მოიგონა უკრაინელ
და ქართველ ხალხთა საუკუთოებრივი მეგობ-
რობის ისტორიული ფაქტები.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოე-
ბას, რომ უკრაინელ ხალხთან ისტორიულმა
და თანადროულმა ურყევემა მეგობრობამ მო-
გვცა იმის უფლება, რომ გვენახა ამ თეატ-
რის საგასტროლო სპექტაკლები და როგორც
მომთხოვნ მეგობრებს, მათში გულწრფელად
შეგვეჩინა როგორც დადებითი, ასევე ნაკ-
ლოვანი მხარეებიც.

მომხსენებელმა საგასტროლო სპექტაკლე-
ბის ანალიზის შემდეგ მოგვცა რეპერტუარის
კლასიფიკაცია, მან დაახასიათა თანამედრო-

ვე დრამატურგია: ა. კორნეიჩუკის „ღნებრ-
ზე“, ი. რაჩაიდის „ცისფერ ღუნაიზე“, დ.
სუპტელის „ხმაურობს ღნებრი“, ნ. ლაზუ-
ტინის „მილიციის სერჯანტი“ და ა. უსპენს-
კის „ჰორფლიანი გოგონა“. კლასიკური
დრამატურგიიდან მან განიხილა „ბედი არ
უწერიან“ და „ბოზა ქალი აზა“, ი. ტობა-
ლევჩის „უიღბლო“, გ. კვიტკო-ოსნოვია-
ნენკოს „შელმენკ ოდენწიკი“ და კალდერო-
ნის „სიყვარული სახუმარო როდია“.

მომხსენებლის აზრით, რეპერტუარი ძირი-
თადში შერჩეულია კარგად, მაგრამ ჯანრუ-
ლობის თვალსაზრისით დიდი ადგილი უჭი-
რავს კომედიას, 10 სპექტაკლიდან ექვსი კო-
მედიაა.

თეატრის რეპერტუარის ძირითადი აქცენ-
ტი გაკეთებულია უკრაინულ დრამატურგია-
ზე. ეს კანონიერიც არის, მაგრამ როგორია
ამ პიესების ხარისხი?

მომხსენებელმა გააჩნია დადგმული პიესე-
ბი, მოიწონა ა. კორნეიჩუკის „ღნებრზე“,
ა. უსპენსკის „ჰორფლიანი გოგონა“, დ. სუპ-
ტელის — „ხმაურობს ღნებრი“. გააკრიტიკა
რაჩაიდის დრამა „ცისფერ ღუნაიზე“ და ლა-
ზუტინის ინსცენირება „მილიციის სერჯან-
ტი“.

პიესების ანალიზის შემდეგ გარჩეული იქნა
სპექტაკლები. მომხსენებელმა უსაყვედურა
თეატრის რეჟისურას იმის გამო, რომ მან
არამც თუ გამოასწორა სპექტაკლში პიესა
„ცისფერი ღუნაის“ ნაკლი, არამედ გააყვა
ყალბ სიუჟეტურ ხერხებს, რითაც სცენურმა
ნაწარმოებმა წააგო.

ნ. შალუტაშვილმა განიხილა ამ სპექტაკ-
ლების აქტიორული ნამუშევრები და გააკრი-
ტიკა ქანთარაის როლის შემსრულებელი
მსახიობი ვ. ჩაიკინი და ი. მიხლიკი. უკა-
ნასკნელი ლუცენკოს ასახიერებდა. ასევე გა-
აკრიტიკა მთავარი გმირის ნიკოლაი ზახა-
როვის როლში მსახიობი მ. პარტინოვი. მო-
წონებული იქნა მსახიობების ო. პეტრენკოს,
ი. სასკოს, კ. კარპენკოს და ნ. ზახარენკოს
აქტიორული ნამუშევრები.

ამ სპექტაკლის რეჟისორს ა. ბელგოროდ-
სკისევე ეკუთვნის სპექტაკლი „ბოზა ქალი
აზა“, რომელიც გაცილებით უფრო მაღალ



პროფესიულ დონეზე დგას, ვიდრე პირველი სპექტაკლი. სიბრალული და თანაგრძობა გიპყრობთ, როცა უყურებთ ტრაგიკულ ბედს არა მარტო დაჩაგრული ბოშებისა, არამედ შთელი უკრაინელი ხალხისა. რეჟისორი დრამატურგთან ერთად ყურადღებას ამახვილებს გალიანას (ზ. მარტიოვა), ვასილის (ს. სტანკევიჩი), გორდილის (ზ. ხრუცალოვა) და აზას (ლ. ბონდარენკო) პირად ბედზე, მთავარ გმირებზე და ხსნის კიდევაც მათ ხასიათებს.

სპექტაკლში არის რიგი აქტიორული მიღწევები. ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს მსახიობი ზ. მარტიოვა, რომელიც დაჯილდოვებულია დრამატიზმის დიდი სიღრმით, გულწრფელობით, ლირიკულობით და მომხიბვლელობით.

აზას ცენტრალურ როლს ასრულებს მსახიობი ლ. ბონდარენკო. იგი მხოლოდ გარეგნული საშუალებებით ახერხებს სახის ვადმოცემას. მსახიობს არ ყოფნის დრამატიზმი აზას სრულყოფილად გახსნისათვის.

სოციალური ჟღერადობით არის სავსე სპექტაკლიც „უიბლო“ (დამდგმელი უკრაინის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ვ. ოფარენკო).

რეჟისორმა სპექტაკლი გახსნა ოჯახურ ყოფით დრამის ჟანრში. აქტიორული მიღწევებიდან აღსანიშნავია, —ამბობს მომხსენებელი, — ვერმენჩის ბრწყინვალე თამაში. იგი ასრულებს მოხუცი ჯარისკაცის ივანეს როლს.

მომხსენებელს დაწვრილებით არ განუხილავს სპექტაკლი „სიყვარული სახუმარო როლი“ (დამდგმელი ვ. ოფარენკო), მაგრამ შენიშნა, რომ მასში არის უდავო აქტიორული მიღწევები და დასახელა ასეთებიც. მან სპექტაკლს დაუწუნა რიტმის უთანაბრობა და იუმორის არაგულწრფელობა.

რაც შეეხება სპექტაკლს „შელმენკო დენ-შიკი“, იგი დადგმულია უკრაინული კომედიის ძველი ტრადიციებით და რაც მეტად საგულისხმობა, მასში მონაწილეობენ უმეტესად ახალგაზრდა მსახიობები. „ეშმაკი, კუჩიანი და გაქნილია“ შელმენკო — ოფარენკო, მაგრამ მას არ ჰყოფნის ის უშუალობა, ის უბრალოება და ბუნებრიობა, უხეში კომიზმი, რაც ასე საჭიროა ამ ხასიათის. ვ. ოფარენკო მეტად ინტელიგენტურია შელმენკოსათვის, მას არ გააჩნია უბრალოება, უშუალობა. გინდა ამ სახეში დაინახო მეტი ადამიანურობა, რათა მაყურებელმა გაიგოს, რომ

სცენაზე მომხდარი ყველა სიტუაცია ძველად უზას შელმენკოს, რომელსაც შეურაცხყოფას აყენებენ, ცემენ, ამკირებენ მის ადამიანურ ღირსებებს“.

მომხსენებელი შეჩერდა რა სპექტაკლზე, „ბედი არ უწერია“ — შენიშნავს, რომ მასში განსაკუთრებულად გამოირჩეოდა კაბრიას როლის შემსრულებელი მსახიობი ა. მაქსიმოვა. მას შეუძლია დაამშვენოს ყველა დიდი თეატრის სცენა. ამ სპექტაკლს პრინციპული მნიშვნელობა აქვს შეგინკოს სახელობის თეატრისათვის. საქმე ისაა, რომ ყველა ზემოდ დასახელებული სპექტაკლი, მიუხედავად ზოგი აქტიორული მიღწევებისა, არათანაბარნი არიან, მათში არ არის არც ერთი ანსამბლური ნაწარმოები, ეს სპექტაკლი კი („ბედი არ უწერია“) ანსამბლურია, მასში იგრძობა რეჟისორის ძლიერი, მთავარი ნიშნული ხელი, ჩანს რეჟისორული ჩანაფერი, ჟღერს დიდი სოციალური თემა. რეჟისორი ცდილობს რომად გახსნას სახეები. ამ სპექტაკლში, რაც მთავარია, ყველაზე ნაკლებ იგრძნობა დეკლამაცია.

მოხსენების დასასრულს ნ. შალუტაშვილი თეატრს უსაყვედურა, რომ თითქმის ყველა სპექტაკლში გადაჭარბებულადაა გამოყენებული ცეკვები და სიმღერები. ეს გარემოება ამ დრამატულ თეატრს უფრო მუსიკალურ ელვერს აძლევს. ვიდრე დრამატულს, „რეჟისორმა, — თქვა ბოლოს მომხსენებელმა, — უნდა დაუშვას, რომ ადამიანის ცხოვრება სპექტაკლში ადვილს უთმობდეს სანახაობას. თეატრმა უნდა გაიგოს, რომ რთული შემოქმედებითი პრობლემების გადასაჭრელად არ არის საკმარისი მხოლოდ ემოციური ძაბვა, საჭიროა ბრძოლა ინტელექტუალურ სიღრმისათვის“.

მეორე მოხსენება მიეძღვნა საგასტროლო სპექტაკლების მხატვრული გაფორმების საკითხს (მომხსენებელი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მხატვარი კარლო კუკულაძე). მომხსენებელმა თქვა: „უკრაინული საბჭოთა თეატრის, მისი დრამატურგის, რეჟისურის შექმნისთანავე განისაზღვრა და შეიქმნა უკრაინული თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების ახალი სკოლა.“

ახალგაზრდა საბჭოთა უკრაინული თეატრის რეჟისორებისა და მხატვრების წინაშე დაისვა ახალი ამოცანები, ახალი პრობლემები. და აი, სწორედ შეჭენკოს სახელობის



თეატრი, ჯერ კიდევ უკრაინის დედაქალაქ კიევიში, პირველთაგანი აყენებს თავის წინაშე ახალ პრობლემებს, ახალ ამოცანებს მაღალი დღეური და შემოქმედებითად ახალი თვისებების მქონე სპექტაკლების შექმნისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პერიოდში უკრაინაში გაიზარდა ნიჟერი რეჟისორებისა და მხატვრების მთელი პლეადა. თეატრალურმა მხატვრებმა, როგორც არიან პეტრიცკი, ვალავტი, ხვისტოვ-ხვისტენკო, ვენიამი, ნეროდი, მელერი, დრაკი, ვოლნენკო და სხვა, სახელი გაუთქვეს უკრაინის საბჭოთა დეკორატიულ ხელოვნებას.

შესავლის შემდეგ მომხსენებელი გადავიდა მხატვრული გაფორმების დახასიათებაზე იმ 11 სპექტაკლისა, რომლებიც თეატრმა ჩამოიტანა საგასტროლოდ. ეს სპექტაკლები გაფორმებულია 9 სხვადასხვა მხატვრის მიერ; კ. კუჟულაძეს მიაჩნია, რომ ეს არის თეატრის სწრაფვა თავისი სპექტაკლების გარეგნული გადაწყვეტის სხვადასხვაობისაკენ. თეატრს მიაჩნია, რომ ეს არის ახალი მხატვრული ფორმების ძიების და გადაწყვეტის საშუალება. „თეატრის ამ აზრს, — სიტყვა მომხსენებელმა, — მხარს ვერ დავუჭერთ. განსაკუთრებული ღირსება ამა თუ იმ თეატრისა ძირითადად იმ დამოკიდებულება იმ თავისებურებებზე, რომლებიც მას აძლევს სტილსა და ხასიათს; პერიოდულს, რომანტიკულს და ა. შ. ჩვენ ვიცით, რომ მოსკოვის სამხატვრო თეატრის სპექტაკლების გაფორმებები მრავალი წლის განმავლობაში ძირითადად მხოლოდ ვ. ა. სიმოვს ეკუთვნოდა. მეიერხოლდი თავის უკეთეს დადგმებს ჰქმნიდა შესტაკოვთან თანამშრომლობით. რუსთაველის სახელობის თეატრი ჩამოყალიბდა პერიოდულ თეატრად, თეატრმა განსაზღვრა თავისი შემოქმედებითი კრედიტ ორიგინალურ მხატვართან ირ. გამრეკელთან მუშაობაში. ასევე ჰყავდა თავისი წამყვანი მხატვრები უკრაინის მოწინავე თეატრებსაც. უამისოდ თეატრებს არა აქვთ თავიანთი სახე და ემსგავსებიან ერთმანეთს“.

მომხსენებელ კ. კუჟულაძეს მხატვრული გაფორმების თვალსაზრისით საინტერესო სპექტაკლად მიაჩნია „დნეპრზე“. რომელიც დადგა უკრაინის სახალხო არტისტმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ი. კობრინსკიმ, ხოლო მხატვრულად გააფორმა მხატვარმა ზ. ფუჟსმა. ეს მხატვარი ოსტატობითა და

ნამდვილი პროფესიონალიზმით ხასიათდება. სპექტაკლისათვის დაზგა მეტად მოხერხებულა და ბრუნვისას მშვენიერ საშუალებებს იძლევა შექმნას სხვადასხვა სცენური პირობები. ცოტაოდენ არადამაჯერებლად მიედინება დნეპრი. სასურველია ცა და მდინარე გამოისახოს ტრანსპარანტის საშუალებით. საჭიროა შეიქმნას დამაჯერებელი შთაბეჭდილება ცის სივრცისა და მდინარის სისველისა.

გარდა აღნიშნულისა, მომხსენებელმა სპექტაკლის მხატვრობასა და სადადგმო ნაწილს რამდენიმე პრაქტიკული მითითება მისცა.

მხატვრული გაფორმების კარგ მაგალითად კ. კუჟულაძემ დაასახლა სპექტაკლი „ხმაურის დნეპრი“. მან თქვა: „აქ ყველაფერი პოეტურია, ყველაფერი თვალს სიამოვნებს. როგორც ჩანს, მხატვარი უკრაინის რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ვ. ბორისევიცი ღრმად ჩაწვდა დრამატურგისა და დამდგმლის აზრებს“. მომხსენებელმა მხატვარს უსაყვედურა გაფორმების ელემენტების გადაჭარბებულ დეტალიზაციის გამო.

ამავე მხატვრის გაფორმებით თეატრმა საგასტროლო სპექტაკლებიდან მყურებელს უჩვენა „ბედი არ უწერია“ (დამდგმელი რეჟისორი ა. გორბენკო), მომხსენებელმა მოიწონა ამ სპექტაკლის ძირითადი დაზგა, მაგრამ მხატვარი ვაკარიტიკა სინათლის ეფექტების შეუფასებლობის გამო, განსაკუთრებულად ისეთ სპექტაკლში, რომელიც აღსაყვება ღრმა დრამატიზმით.

კ. კუჟულაძემ ძირითადად კარგი შეფასება მისცა მხატვარ გ. ზაზაროვის მუშაობას „ბოშა ქალაქში“, მაგრამ იქვე მითითა ზოგ არა სიზუსტეზე. ვაკარიტიკა სცენებში ქალაქს გარეთ, რომლებიც გამოსახვის პროზაულობით ხასიათდებიან.

მომხსენებელმა არ მისცა მაღალი შეფასება სპექტაკლ „შელმწიფო დნეპრის“ სცენური მოედნის გადაწყვეტის პრინციპს. ამ აზრის დამადასტურებელი ფაქტები მოიყვანა და დაასკვნა: სპექტაკლის ასეთი მხატვრული გაფორმება არ აკმაყოფილებს საბჭოთა მყურებლის ყოველდღიურად მხარდ გემოვნებას“.

კ. კუჟულაძემ თეატრს მოუწონა მსოფლიო კლასიკური დრამატურგიისადმი გაბედული დამოკიდებულება, რის შედეგადაც კალდერონის „სიყვარული სახუმარო როდია“

შეჩენკოს სახელობის თეატრში კარგად აღ-
ლერდა. მხატვარმა ეფრემოვმა ამ სპექტა-
კლის გადასაწყვეტად სინტერესო ფორმის
მიაგნო. მომხსენებელმა დეტალურად განი-
ხილა ეს გაფორმება.

მოხსენებლის მოსმენის შემდეგ გაიმართა
კამათი. გამოსულ ამხანაგებიდან ხელოვნების
დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორი მ. ვა-
ხნიანსკი შეჩერდა შეჩენკოს სახელობის თე-
ატრის სადადგმო ნაწილზე. მის მიერ ნახულ
სპექტაკლებიდან მ. ვახნიანსკიმ დასახელა
რამდენიმე მაგალითი, თუ როგორ შეიძლე-
ბა თეატრმა უკეთესად გამოიყენოს თავისი
შესაძლებლობები სადადგმო დარგში სიანლის
დასანერგად.

რეჟისორმა მის. გიფიმურელმა აუდიტო-
რიის ყურადღება შეაჩერა რამდენიმე სპექ-
ტაკლის ანალიზზე და მაღალი შეფასება მის-
ცა სპექტაკლს „ბედი არ უყრია“.

დაბოლოს, სიტყვით გამოვიდა დემ-
როპეტროვისის შეჩენკოს სახელობის თეატ-
რის მთავარი რეჟისორის მოვალეობის შემ-
სრულებელი ბელგოროდსკი. მან კოლექტი-
ვის სახელით გადაუხადა მადლობა საქარ-
თველოს თეატრალური საზოგადოების პრე-
ზიდიუმს სავასტროლო სპექტაკლების განხი-
ლვის მოწოდებისათვის. მადლობა უთხრა მო-
მხსენებელმა დამსწრეებს. მანვე აღნიშნა:

„კრიტიკული შენიშვნები ჩვენ უთუოდ და-
გვეხმარება მომავალ მუშაობაში. იგი დაეთან-
ხმა მომხსენებლებს და გამოსულ ამხანაგებს.
მან ობიექტურად მიიჩნია სავასტროლო სპე-
კტაკლების შეფასება. ბელგოროდსკიმ ილა-
პარაკა მათ თეატრში არსებულ შემოქმედ-
ებით სიძნელეებზე: „მთავარი წინააღმდეგო-
ბა, — რომელიც ხელს უშლის ჩვენს წინსვლას.
ეს არის სამხატვრო ხელძღვანელისა და
მთავარი რეჟისორის უყოლობა.“

ბელგოროდსკიმ დაძინა, რომ „ჩვენს წინა-
შე მწვედ დღას დამატურობის საკითხიც.
მე მხედველობაში მაქვს ნაციონალური თა-
ნამედროვე დრამატურკია. მე ვკონია, რო-
დესაც ვაქვთ კარგი პიესა და საშუალო ნი-
ჰეიერების რეჟისორები და მასაობები, შეი-
ძლება კარგი სპექტაკლის შექმნა. დრამატუ-
რკია მეტად დიდი ფაქტორია კარგი სპექ-
ტაკლის შესაქმნელად“.

სიტყვის დასასრულს მან თქვა: „აი, ასე-
თი შეხვედრები ბევრს აძლევს ყველა თეა-
ტრალურ კოლექტივს, რადგან ეს განხილვე-
ბი გაეაღებენ იაზროვნით უფრო ზუსტად,

იფიქრო და შეფასო მოვლენები, რეჟისორ-
თაც ადგილი აქვთ თეატრში. ასეთი შეხვე-
დებებითი შეხვედრები მიმართულია იქეთკენ,
რომ მიუთითო ამხანაგებს იმ ნაკლზე, რო-
მელსაც ადგილი აქვს ჩვენს მუშაობაში. ასე-
თი შეხვედრები გაფხიზლებენ, გახალისებენ
მომავალ მუშაობისათვის, კიდევ ერთხელ
დაგვაფიქრებენ იმ პოზიციებზე, რომლებიც
ჩვენს თეატრებს გააჩნიათ“.

რეჟისორმა ბელგოროდსკიმ კვლავ მადლო-
ბა გადაუხადა საქართველოს თეატრალურ
საზოგადოებას და დამსწრეთ შეგობრული
კრიტიკისათვის.

»ლატერნა მაგიკა« საქ. თეატრ- ალურ საზოგადოებაში

თბილისს სტუმრად იმყოფებოდა ჩეხოსლო-
ვაკიის თეატრალური კოლექტივი »ლატერნა
მაგიკა“ („უჩვეულო სანახაობა“). თეატრა-
ლური ხელოვნების ამ ახალმა სახეობამ, რო-
მელიც სულ რამდენიმე წელიწადია რაც არ-
სებობს, მსოფლიოში საყოველთაო აღიარება
პოვა.

წლეულს „ლატერნა მაგიკას“ დიდი წარ-
მატება ხვდა მოსკოვს, ლენინგრადსა და
ლინდონში. არანაკლები აღფრთოვანებით
მიიღო ეს თეატრი ჩვენი დედაქალაქის საზო-
გადოებრიობამაც, რომელიც გაცხოველებუ-
ლი ინტერესით ადევნებს თვალს „უჩვეულო
სანახაობის“ შემდგომ განვითარებას.

31 ივლისს საქართველოს კულტურის სა-
მინისტრომ, საქართველოს თეატრალურმა
საზოგადოებამ, საქართველოს კინემატო-
გრაფიის მუშაობა კავშირმა საქ. ხელოვნების
მუშაობათა სახლის საღმრთო მთაწყო შეხვედრა
„ლატერნა მაგიკას“ დასთან. აქ ვიწრო გა-
რემოცვაში ერთმანეთს შესხედნენ ჩვენი კულ-
ტურის ცნობილი წარმომადგენელნი და „ლა-
ტერნა მაგიკას“ კოლექტივი. შეხვედრენ, რათა
ერთმანეთისათვის ვაგზიარებოთ შთაბეჭდი-
ლებანი და ელაპარაკათ იმ დიდ პერსპექტი-
ვებზე, რომელიც მოელის ხელოვნების ამ
ახალ სახეობას.

თეატრალური საზოგადოებრიობის სახე-
ლით სტუმრებს მიესალმა საქ. თეატრალური
საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე,

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მიხეილ მრეველიშვილი.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა სსრ სახალხო არტისტი რეჟისორი დოდო ალექსიძე.

შეხვედრის დროს მრავალ შეკითხვას გაცა პასუხი „ლატერნა მაგიკას“ ერთ-ერთმა წამყვანმა მსახიობმა გ. სტენკომ. მან სთქვა: „ლატერნა მაგიკას“ წინ უდევს დიდი და სერიოზული მუშაობა. „ლატერნა მაგიკას“ მიზნად აქვს დასახული ორი გზა: პირველი, ეს არის საინტერესო რეჟისურ ფორმა, ხოლო მეორე ეს არის თეატრალური, სიუჟეტური თემატური სპექტაკლები. ჩვენ ვფიქრობთ შევქმნათ ისეთი საინტერესო სპექტაკლები, რომლებიც ამოუდგება გვერდში ნამდვილ დიდ ხელოვნებას. „ლატერნა მაგიკა“ დიდ იმედებს ამკარებს მომავალზე. ეს არ არის საკითხი მხოლოდ „ლატერნა მაგიკასი“, ეს არის საკითხი ჩვენი ხელოვნების, ჩვენი საზოგადოების, ჩვენი თეატრის, დრამატურგთა, რეჟისორთა, თუ მსახიობთა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ლატერნა მაგიკამ“ გადადგა წინ ნაბიჯი ხელოვნებაში.

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს ყურნალისტმა ოთარ ევაძემ, რეჟისორმა მიხ. გიფიმურელიმ, კინო-რეჟისორმა ნიკოლოზ სანიშვილმა, საქ. თეატრალური საზოგადოების პ/მგ. მდივანმა დ. ჩხეიძემ. საღამო სამიღობელო სიტყვით და სურვილით შემდგომ შემოქმედებით შეგობრობაზე დაასრულა მიხეილ მრეველიშვილმა.

ლვოვის საბჭოთა არმიის თეატრი თბილისში

გასული 1961 წლის 1-დან 28 აგვისტომდე თბილისს საგასტროლოდ ეწვია ლვოვის საბჭოთა არმიის რუსული დრამატული თეატრის კოლექტივი. აღნიშნულმა თეატრმა თბილისში საგასტროლოდ ჩამოიტანა თავისი მუდმივი მომქმედი რეპერტუარიდან შემდეგი სპექტაკლები: ა. შტეინის — „ოკეანე“, ა. სალინსკის „მედიოლე ქალი“, დ. უგაროვი — „სავარძელი № 16“, ა. არბუზოვის — „დაკარგული ვესილი“, ა. ტოლსტოის —

„მეფე ფეოდორ იოანეს-ძე“, ა. არბუზოვის „ირკუტსკის ისტორია“ და ა. პარნისის „აფროდიტეს კუნძული“.

ლვოვის საბჭოთა თეატრის სპექტაკლებმა, რომლებიც გრინობილია სახელობის თეატრში მიმდინარეობდა თბილისელ მაყურებელთა სიყვარული და ყურადღება დაიმსახურა. თეატრის კოლექტივმა გარდა თბილისისა მოაწყო აგრეთვე გამსვლელი სპექტაკლები — რუსთავში, მცხეთაში და სხვა ახლო-მახლო ადგილებზე. განსაკუთრებით წარმატებით მიდიოდა „სავარძელი № 16“, „მეფე ფეოდორ იოანეს-ძე“ და „ირკუტსკის ისტორია“.

გასტროლების დამთავრების შემდეგ საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ თავის ბაღში (ყოფილი „სტელა“) მოაწყო ამ თეატრის სავასტროლო სპექტაკლების განხილვა. სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ანხ. მიხ. მრეველიშვილმა.

— თბილისელმა მაყურებელმა, — განაცხადა ანხ. მრეველიშვილმა, — გულწრფელად მიიღო ლვოვის საბჭოთა არმიის თეატრის სპექტაკლები. რამდენადაც საინტერესო იყო ამ კოლექტივის ნამუშევარი, რომლითაც მან თავი შეგვაყვარა, იმდენად ძნელია მასთან (კოლექტივთან) დაშორება. დღეს გვინდა გამოცდილებათა გაზიარების მიზნით თქვენთან და თქვენ მაყურებელთან ერთად განვიხილოთ თქვენი ნაამგვარი, რათა ურთიერთ სალი კრიტიკისა და საქმიანი დახმარებით ხელი შევეწყობოთ საბოლოო ჯამში საბჭოთა თეატრალური კულტურის განვითარებას და მის წინსვლას.

ანხ. მიხ. მრეველიშვილის შესავალი სიტყვის შემდეგ მოხსენებით თემაზე: „ლვოვის საბჭოთა არმიის თეატრის სავასტროლო სპექტაკლები“ გამოვიდა რეჟისორი მიხ. გიფიმურელი. მომხსენებელმა განიხილა ლვოვის საბჭოთა არმიის თეატრის სავასტროლო სპექტაკლები და განაცხადა: „ჩვენთვის გასაგებია ამ თეატრის მუშაობა მღელვარება, რასაც ისინი დღეს განიცდიან. არა მარტო ახალი მაყურებლის და ახალ ადგილებზე ჩამოსვლის გამო, არამედ იმიტომაც, რომ მათ საქმე ჰქონდათ დიდი თეატრალური ტრადიციების მქონე ქალაქის თბილისის მაყურებელთან. პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ თეატრის კოლექტივმა, რომელიც მთელი პასუხისმგებლობით



ეიდებოდა ყოველ სპექტაკლს, თბილისელ გამოცდილ მყურებელთა დიდი პატივისცემა დაიმსახურა. შეიძლება ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ ლეოვის საბჭოთა არმიის თეატრმა ამ დროისათვის თავის შემოქმედებითი განვითარების ახალ ზღვარს მიაღწია.

როგორც მოგვხსენებთ, ამ თეატრს განსაკუთრებული მისია აქვს დაკისრებული— მოემსახუროს თავისი შემოქმედებით არა მარტო ჩვენი დიადი საბჭოთა არმიის რიგებში მყოფ პერსონალს, არამედ სამოქალაქო მოსახლეობასაც. ლეოვილების სპექტაკლები დიდი წარმატებით მიდიოდა თბილისში, მიუხედავად იმისა, რომ გასტროლების პერიოდში, თბილისში უჩვეულო სიციხეები დაიჭირა. თქვენში მაინც მოჩანდა შემოქმედებითი დისკიპლინასთან ერთად საფრონტო წვრთნის გამოცდილებაც. " შემდეგ მოხსენებელი მიხ. გვიმყრელი შეჩერდა თეატრის რეპერტუარზე და ცალ-ცალკე გააჩინა თვითული სპექტაკლი, მისცა მათ დამსახურებული შეფასება. მომხსენებელი მაღალ შეფასებას აძლევს კერძოდ სპექტაკლს ალ. კონსტანტინეს-ძე ტოლსტოის „მეფე ფეოდორ იოანეს-ძის“. იგი განსაკუთრებით გამოაყოფს მთავარი გმირის მეფე ფეოდორის შემსრულებელს, უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტის ს. ვ. ხარჩენკოს ბრწყინვალე თამაშს.

—მაღალ დონეზე დგას თეატრის რეჟისურა, — დასძენს აზხ. მ. გვიმყრელი. — სასიხარულოა, რომ თეატრის უფროსი თაობის გვერდით მოჩანს ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებიც, რომლებიც შესანიშნავ ანსამბლს ქმნიან. საერთოდ, რეჟისორს სწორად აქვს გააზრებული პიესის დედაარსი. მომხსენებელი მაღალ შეფასებას აძლევს აგრეთვე ბორისის შემსრულებელ ა. მ. მაქსიმოვს, შუისკისას— ა. ი. არკადიევს. მაგრამ, — დასძენს იგი, — მაქსიმოვი მეტად თავშეკავებულია, საქმეა კია უფრო მეტი თავისუფლება, არკადიევს აქვს აქტიუობა, ხოლო ხარჩენკომ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ტექნიკასაც.

პიესა „სავარძელი № 16“ ვოდველიური ჯანრისაა, — აცხადებს აზხ. მ. გვიმყრელი, — რომელშიაც ლირიზმი შეზავებულია სატირასთან. ამ სპექტაკლში პირველ რიგში აღსანიშნავია ბერეკოვას შემსრულებლის ლ. ფ. კალჩევსკიას შესანიშნავი თამაში,

თუმცა მას აქვს იუმორის საღებავები ინტონაცია. ბრწყინვალედ ასრულებს ამ სპექტაკლში ხოდუნოვის როლს ა. არკადიევი. მარტო მისი გამოჩენა სიხარულს გვრის მყურებელს. არკადიევი ასეთივე კარგი იყო „დაკარგულ ვეილში“.

მიუხედავად იმისა, რომ „დამწყები ადმინისტრატორი“ პიესაში „სავარძელი № 16“ ავტორის მიერ გაურკვევლად დახატული სახეა ა. ვ. ინოზემცევი „მესძლო“ მისი ბრწყინვალედ შესრულება. საერთოდ, ინოზემცევი ნიჭიერი შემოქმედია, მას თბილისში მაყურებელი კარგად იცნობს ჯერ კიდევ თბილისის რუსული მოზარდ მყურებელთა თეატრის სცენიდან. სადაც იგი წლების მანძილზე გამოდიოდა.

აზხ. მ. გვიმყრელმა მაღალი შეფასება მისცა აგრეთვე სპექტაკლ „ოკეანეში“ მოთამაშე სახიობებს დექტირიოვას, მაქსიმოვს, ხარჩენკოს, კისლოვსკის და გვერილოვს, ხოლო „დაკარგულ ვეილში“ ჩიკიკიოვას— ბიბლიოთეკის მუშაკის როლში.

ჩვენ, ქართველი საზოგადოებრიობა, — აცხადებს აზხ. მ. გვიმყრელი, — და თბილისელი მყურებლები, ვინც თქვენი სპექტაკლებით დატკბა, დიდი სიხარულით შეხედა საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებას ლეოვის საბჭოთა არმიის თეატრის შემოქმედი მუშაკების საპატიო სიგელებით დაჯილდოვების შესახებ. მაშ კვლავ ახალ შეხვედრამდე, ძვირფასო უკრაინელო მეგობრებო!

აზხ. მ. გვიმყრელის მოხსენების შემდეგ ლეოვის საბჭოთა არმიის თეატრის სპექტაკლების მხატვრულ გაფორმებაზე ილაპარაკა ზელ. დამს. მოლვაწუ ქ. კუკულაძემ.

— მე ძალიან მომეწონა, — აცხადებს აზხ. კუკულაძე. — სპექტაკლ „ირკუსკის ისტორიის“ გაფორმება, რომელიც მხატვარ ჩერნიშოვს ეკუთვნის. კარგი იყო აგრეთვე მხატვარ კორჩენინის ნამუშევარი „ოკეანეში“, განსაკუთრებით კი პირველი და უკანასკნელი სურათები. მაგ. კაპიტნის ხიდი, ზღვა და უკან ცა. აგრეთვე წოდების მინიჭების სცენა, გემის ქვეშ მილივილივე ზღვა და სხვა. კარგია თეატრის კოსტიუმები, რა თქმა უნდა, მე ვგულისხმობ არა სანხედრო კოსტიუმებს. კარგია სპექტაკლების ხმოვანი გაფორმებები, ყველაფერი დამაჯერებლად არის. ეს ალბათ იმითაც არის გამოწვეული, რომ ამ თეატრის მხატვრული ხელმძღვანელია გამოჩენილი



მხატვარ-დეკორატორს ორლოვი. მხოლოდ მე არ მომეწონა,—დაასვენის აშხ. კუკუ-ლაძე,—დირექტორის კაბინეტი სპექტაკლში „სავარძელი № 16“, აგრეთვე ქაოსურია სცენა ახალგაზრდობის რეპეტიციისა, სადაც ყველაფერია გამოტანილი და დაყრილი.

—მე ძალიან მომეწონა სპექტაკლი „სავარძელი № 16“,—აცხადებს სიტყვაში გამოსული დრამატურგი ო. ჩიჯავაძე, პიესა ეხება მეტად საჭირობოროტო საკითხებს. აღსანიშნავია, რომ მასში შესანიშნავად თამაშობენ თეატრის ყველა თაობის წარმომადგენლები. განსაკუთრებით კარგია რესპ. დამ. არტისტი არკადიევი ხოდუნოვის როლში და აგრეთვე მსახიობი კუპიურცევი ლიტნაწილის გამგის როლში. ოდნავ აპარტებს ლებედივი სუფლიორის როლში, რომელიც საერთო სტილიდან ამოვარდება ხოლმე. პიესა „დაკარგული შვილის“ ექსპოზიცია მეტად გაჭიანურებულია. ამ პიესას უფლება აქვს იყოს თეატრების რეპერტუარში, მაგრამ მას უნდა მალალი კვალიფიკაციის მსახიობი—შემსრულებლები.

სიტყვაში გამოსული თეატრმკოდენ ნათელა ურუშაძე აღნიშნავს, რომ შესანიშნავი ტრადიცია დამკვიდრდა თბილისში. გასტროლებზე ჩამოდიან მოძვე რესპუბლიკების წამყვანი თეატრები. დღეს ჩვენ წინ არის ერთ-ერთი ასეთი თეატრის კოლექტივი. ლვოვის საბჭოთა არმიის თეატრის კოლექტივის სპექტაკლებმა,—აცხადებს აშხ. ნ. ურუშაძე,—ჩემზე მეტად კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს. მე მინდა ვილაპარაკო მხოლოდ ორ შემსრულებელზე. პირველი—ეს არის ჩერემიშკინას როლის შემსრულებელი მსახიობი ჩიეიკოვა. ჩიეიკოვა სიმართლით აღსავსეა და გულწრფელი. შენ გჯერა, რომ მართლაც ასეთი უნდა ყოფილიყო ეს სახე. მეორე, ჩემთვის და ყველასთვის საყვარელი მსახიობი ა. არკადიევი. შესანიშნავია მის მიერ განსახიერებული სახეები.—ხოდუნოვის სპექტაკლში „სავარძელი № 16“ და შვარცისა სპექტაკლში „დაკარგული შვილი“, მისი ყოველი მიხვრა-მოხვრა, მისი თვითუღი მიზანსცენა ბრწყინვალედ მიმდინარეობდა. არკადიევის სახით ამ თეატრს ჰყავს დიდი შემოქმედი ძალი.

—მე დიდი ხანია ვიცნობ ამ თეატრს,—აცხადებს სიტყვაში გამოსული რეჟისორი შ. ქარუხნიშვილი,—მაგრამ გულწრფელად

უნდა მოგახსენოთ, რომ უზარმაზარი შემოქმედებითა და კოლექტივის უკანასკნელი წლების მანძილზე. მალაღობა და ნეზეა თეატრში რეჟისურა და მსახიობთა ოსტატობა. თეატრს აქვს მრავალფეროვანი რეპერტუარი და დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობანი. რაც მთავარია, ეს თეატრი მინდის საკუთარი შემოქმედებითი გზით. მაგრამ მე მაინც მაქვს მცირედი შენიშვნები: პირველი—სპექტაკლი „ავროდიტეს კუნძული“ სუსტ სპექტაკლად მიმაჩნია. რაც აიხსნება იმით, რომ არა სწორად არის მასში როლები განაწილებული მსახიობებზე, რაც უხერხულ მდგომარეობაში აყენებს ზოგიერთ შემსრულებელს. მეორე—მე არ ვეთანხმები მსახიობსატაროვის ტრაქტოვას. იგი სპექტაკლში „სავარძელი № 16“ რეჟისორის როლს თამაშობს. ცხადია, ჩვენ ასეთი რეჟისორები არა გვყავს. სამაგიეროდ, ეს მსახიობი კარგია სპექტაკლში „დაკარგული შვილი“. ერთ-ერთ საუკეთესო სპექტაკლად ამ თეატრისა მე მიმაჩნია „მეფე ფეოდორ იოანეს-ძე“. კარგია აგრეთვე „მედოლე ქალი“.

დასასრულ სიტყვით გამოვიდა ლვოვის საბჭოთა არმიის თეატრის მთავარი რეჟისორი ვ. ს. ლიზოგუბი.

—ჩემთვის, როგორც ამ თეატრის მთავარი რეჟისორისათვის,—აცხადებს აშხ. ლიზოგუბი,—ძალიან ძნელი და უხერხულიც კია ვილაპარაკო. მაგრამ რაც გვინდოდა ჩვენ უკვე ვთქვით ჩვენი სპექტაკლებით, რომლებიც დღეს თქვენი სამსჯავროს წინაშე იდგა. რა თქმა უნდა, მე ვიცოდი, როცა თბილისში მოვდიოდით, რომ ჩვენ საქმე გვექნებოდა მაღალკვალიფიკატორ და გემოვნებით აღჭურვილ მაყურებელთან. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ქართული თეატრების—რუსთაველის და მარჯანიშვილის სახ. თეატრების—სახელი განთქმულია მთელ საბჭოთა კავშირში. ამიტომ ნამდვილად ვლელავდი, მაგრამ როგორც ვხედავთ, არ გავშვდით და თბილისელი მაყურებლის სიმპათიებიც კი დავემსახურეთ. მე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას, გრიბოედოვის სახ. თეატრის კოლექტივს, რომლებიც მუდამ მხარში



ვედგნენ და გვეხმარებოდნენ ჩვენ მუშაობაში და აგრეთვე თბილისელ მკვლევარებს, რომლებმაც ჩვენი სპექტაკლები გულწრფელად მიიღეს.

საქართველოს ფილარმონიის რეპერტუარის განხილვა

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ, კულტურის სამინისტრომ და მწერალთა კავშირის დრამსექციამ 1961 წლის 9-დეკემბერს განიხილა საქართველოს ფილარმონიის რეპერტუარი.

დისპუტი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მიხეილ მრეველიშვილმა. მან აღნიშნა ქართველი მკვლევრების დიდი სიყვარული საესტრადო ხელოვნებისადმი და აქედან გამომდინარე ის საპატიო ამოცანები, რომელიც დგას საქართველოს ფილარმონიის წინაშე.

ძალიან ხშირად, განაგრძობს მიხ. მრეველიშვილი, ქართულ ესტრადაზე ბევრ რამეს ვამჩნევთ ზედმეტს, ზომიერებას გადაცილებულს, უპირობოს, რაც არ სჭირდება არც ესტრადას და არც საბჭოთა მკვლევარებს. ამ მხრივ საჭიროა, როგორც თეატრალურმა საზოგადოებამ, ისე მწერალთა კავშირმა გაამახვილოს ყურადღება და მიაწოდოს ქართულ ესტრადას მაღალხარისხიანი ტექსტუალური მასალა.

შესავალი სიტყვის დამთავრების შემდეგ, თავმჯდომარემ მოხსენებისათვის სიტყვა მისცა მწერალ ნიკოლოზ ჩაჩავას.

მომხსენებელმა ფართო ექსკურსი გააკეთა ესტრადის მნიშვნელობის, მისი სპეციფიკის შესახებ. მან აღნიშნა, რომ ესტრადა, კინოს შემდეგ, ყველაზე უფრო აპორტატული და მასობრივი ხელოვნებაა; რომ იგი ჟანრზღირივად მრავალფეროვანია, ხასიათით მეტად მობილური და ვალდებული ხელოვნების ყველა დარგზე უფრო ადრე მძაფრად გამოეხმაუროს ცხოვრებისეულ საგულისხმო საკითხებს.

ესტრადის ასეთი ყოველდღიურობა — განაგრძობს მომხსენებელი, — მას ხდის პროპა-

განდის საუკეთესო იარაღად. მისი საშუალებით ადვილად და მოხერხებულად შეიძლება მივიტანოთ ფართო მასებთან ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარი საგულისხმო ამოცანები. ჩვენი ესტრადა, — ამბობს იგი, — ახლა მართლაც გახდა მასობრივ ხელოვნებად. საესტრადო კოლექტივები, ანსამბლები, ცალკეული მსახიობები თუ საკონცერტო ბრიგადები მოდებული არიან არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, მთელ საბჭოთა კავშირში, არამედ ხშირად ისინი გამოდიან საზღვარგარეთის ქალაქებში და იმსახურებენ დიდ ყურადღებას.

1961 წლის 11 თვეში ფილარმონიამ თავისი ძალებით ჩაატარა 4600 საესტრადო კონცერტი, რაც დიდი მიღწევაა. ჩვენ უნდა ავლენიშნოთ, რომ საქართველოს ახლა აქვს მეტად სანტივრესო პროფესიული ესტრადა, — ჰყავს მრავალი ნიჭიერი პროფესიული მსახიობი. ეს ყველაფერი საბაზს ვგავსებთ მეტოპოზიციურად წაფუყნოთ ესტრადის ხელმძღვანელობას და გულახდილად ვუთხროთ, რომ მიღწევებთან ერთად არის მრავალი ხარვეზი, რაც გამოსწორებას მოითხოვს.

ფილარმონიის სუსტი მუშაობის ძირითად მიზეზად მომხსენებელს მიაჩნია ის, რომ ქართულ ესტრადას არ გააჩნია მაღალმხატვრული, მცირე ფორმის დრამატურგია, ლიტერატურული რეპერტუარი.

ცნობილია, რომ ლიტერატურა ესტრადას აძლევს: მხატვრულ პუბლიცისტიკას, სატირას და პაროდის, მცირე ფორმის დრამატურგias (სკეტჩები, სცენები, მინიატურები, რებრიზები და სხვა), სიმღერას, კონფერანსს და ბუფონადს. ისიც ცნობილია, რომ არსად ისე არ ძველდება რეპერტუარი, როგორც ესტრადაზე და თუ არ არის ცოცხალი მასალა (რაც ქართული ესტრადის მოუშორებელი სენია) იკარგება მობილურობა, სუსტდება მსაყურებელთან კავშირი და საბოლოოდ იკარგება ჟანრის პუბლიცისტური ხასიათი, რაც დამანგრეველად მოქმედებს. შაირებზე, სატირაზე, პაროდიაზე და სხვა. ძველდება მოკლენა, ძველდება მსხვე დაწერილი მასალა.

ზემოთ მოყვანილი მოსაზრების დასამტკიცებლად მომხსენებელი კონკრეტულად განიხილავს ფილარმონიასთან არსებულ გ. კიკნაძისა და ნ. მოსეშვილის საესტრადო ბრიგადების რეპერტუარს, რომელთა პროგრამების საერთო სათაურებია „მხიარული სარკე“ და „იცნობდით“.

მომხსენებელი ასაბუთებს ორივე პროგრამის ერთფეროვნებას, ტრაფარეტს, ენის სიმშრალე-სიღარიბეს, მხატვრობის მაგივრად შიშველ აგიტაციას და სხვა.

მომხსენებელი ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე თანამედროვე და კლასიკური ლიტერატურის ესტრადით პოპულარიზაციის საკითხზე და მოითხოვს მეტ თემატურ და მხატვრული კითხვის საღამოებს. ამავე დროს შეუწყურებელ ფაქტად მოხსენებაში აღიარებული კლასიკური ლიტერატურული მემკვიდრეობის პაროდის ცდა, რამაც ქართულ ესტრადაზე საკმაოდ მოიციდა ფეხი. მაგალითისათვის მომხსენებელი აღნიშნავს ი. ჭავჭავაძის ცნობილ ლექსს „ვახსოვს ტურფავს“ და შექსპირის „ოტელოს“ (გადაკეთებული ა. კახნიაშვილის მიერ), სადაც გმირებს ალაპარაკებს თანამედროვე ჟარკონით. ანდა ა. გელოვანის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის პროფანაციას და სხვა.

—ეს ტრაფარეტი, ერთფეროვნება, ყველადრის გამასხარავება სკენიდან ვრცელდება ახალგაზრდობაში, შედის ყოფაში, მოქმედებს აღმაიანის ქცევაზე, მის გემოვნებაზე,—ასკვნის მომხსენებელი.

მომხსენების შემდეგი საკითხია ლირიკული სიმღერების ადგილი და მნიშვნელობა საესტრადო რეპერტუარში. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ თანამედროვე ლირიკული სიმღერა ძირითადად განსხვავდება ძველი რომანსის მელოდრამატულ სიუჟეტისაგან. მეგობრობა, სიყვარული, ერთგულება, შრომის სიხარული, დასვენებით კმაყოფილება, გრძნობის გამოცდა—აი, რით განირჩევა იგი ძველი ყოფითი რომანსისაგან.

არჩევს რა სიმღერების ტექსტუალურ მასალას მომხსენებელი აღნიშნავს: სიმღერათა ტექსტების დიდი უმრავლესობა თვით კომპოზიტორების მიერ ანდა არა პროფესიონალის მიერ არის შექმნილი.

უსულგულაო, ტრაფარეტული, არაფრისმოქმედი ტექსტები სიმღერებად არის გამოცხადებული, მაგალითად: „მე შენ გიცდი“ (მუსიკა და ტექსტი ი. დარახველიძის), „მოგონება“ (მუსიკა ყანჩელის, ტექსტი ვ. ჟღენტის), „შრომის გმირი“ (მუსიკა და ტექსტი ზ. კირვალიძის). გ. გრიგოლაშვილის 106 დაბალ შემოქმედების ტექსტზე (და არა ლექსზე), რატომღაც მუსიკა დასწერეს ცნობილმა კომპოზიტორებმა: ი. თაქაიჭიშვილმა, ბ. კვერნაძემ, რ. ლალიძემ, ა. შავერზაშვი-

ლმა, ა. მაჭავარიანმა, მ. დავითაშვილმა და სხვა.

ყოველივე ეს იმის გამო ხდება, რომ მწერლებს და კომპოზიტორთა შორის არასტრუბოს მჭიდრო კავშირი.

ვრცელი და საინტერესო მოხსენების შემდეგ კამათში პირველი გამოვიდა დრამატურგი ი. ჩიჯავაძე, რომელმაც ძირითადად ილაპარაკა გაბედული იუმორის აუცილებლობის შესახებ. ვინაიდან იგი წარმოადგენს ჩვენი ცხოვრების ჩრდილოვანი მხარეების ერთგვარად გამოშვეურების საშუალებას. ესტრადა თავისი ბუნებით იუმორია, სატირაა, ე. ი. გაკრიტიკებული უნდა იქნეს ვინმე რამე და ამით დაეხმარონ ჩვენს ცხოვრებას, რომ უკეთ იაწყოს იგი—განაცხადა თავის სიტყვაში დრამატურგმა ვ. პატარაიამ. ვ. პატარაიამ შენიშვნა გააკეთა აგრეთვე ესტრადის სპეციფიკის შესახებ:—ესტრადა განსაზღვრულ ნიჭის შემოქმედებაა. მას უნდა ჰყავდეს თავისი სპეციალური მწერლები, სპეციალური მსახიობები. ერთი სიტყვით, —ასკვნის იგი, —ფილარმონიამ თავისი მუშაობის გეზი იმ მიმართულებით უნდა წარმოართოს, რომ იზრუნოს სპეციალურ საესტრადო კადრებზე.

პოეტმა ი. ნონეშვილმა ილაპარაკა ესტრადის მუშაობისა და მწერლებს შორის სასურველ კონტაქტზე და აღნიშნა, რომ ისე გავა მივლი წელი, არაფერი ვიცით ერთმანეთის, ვინ რას აკეთებს, ვის რა დახმარება სჭირდება და სხვა.

ამავე დროს მოკმათემ წამოაყენა ახალი წინადადება ფილარმონიის მიერ პოეზიის საღამოების გაშრობის შესახებ და აღნიშნა: „თუ კი შესძლეს პოლონელებმა და რუსთაველი გააკეთეს საესტრადო შესრულებით, განა ჩვენ მათზე ნაკლებად გვესმის რუსთაველი? ეს ახალი ფორმაა და მეტად საჭირო ფორმა.“

კულტურის სამინისტროს მუსიკალური დაწესებულებების განყოფილების უფროსმა ა. წულუკიძემ დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა კომპოზიტორთა და მწერალთა შორის არსებულ მტკივნეულ საკითხზე—კონტაქტისა და ურთიერთობის საკითხზე, „საჭიროა ხშირად ვხვდებოდეთ, აზრებს ვუზიარებდეთ ერთმანეთს. დროა ვაერთიანებული ძალებით ვიქორთ, რათა ჩვენი კულტურა გადაიქცეს ნამდვილად ხალხის საკუთრებად, მასის კუ-



ლტურად, ნუ ვიქნებით გულცივები ერთმანეთის მიმართ. საჭიროა გვადელვებდეს საკითხები ურთიერთობის სფეროდან; საჭიროა ერთმანეთის გაგება, გვქონდეს ერთი საერთო დიდი პატრიოტული გრძნობა. ყოველივე ამის გარეშე, — ასკენის ა. წულუჭიძე, — ვერ განვვითარდებით, შემოქმედებითად ვერ ავმალდებით.

მწერალი ა. ბელიაშვილი თავის სიტყვაში შეეხო ესტრადის სამსახიობო სპეციფიკას და აღნიშნა, რომ მაყურებელთა სიცილი მსახიობისათვის არ უნდა იყოს თვითმიზანი. „საჭიროა მსახიობმა სწორად წარმოადგინოს სახე, განწყობილება და სიცილი თავისთავად მოვა. მთავარია არა მარტო ვიცინოთ, არამედ საჭიროა აგრეთვე ვიგრძნოთ სიტყბო ქართული სიტყვისა და მეტყველებისა. ამ მხრივ ფილარმონიის რეპერტუარი და მსახიობების თამაზიც მოითხოვს ერთგვარ გადახედვას — გაუმჯობესების მიზნით.“

თავის გამოსვლაში კომპოზიტორმა გ. ცაბაძემ სასტიკად გაილაშქრა თვითმოქმედი კოლექტივების (მოდერნისტული კვარტეტების, სექტეტების) წინააღმდეგ, რომლებიც ქართულ ტექსტზე, საოცარი ხმით გაჰკივიან ქართულად მონათლულ იტალიურ და მექსიკურ მელოდიებს. კომპოზიტორმა გადაჭრით მოითხოვა მსგავსი ესტრადული ნომრების აკრძალვა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ს. შირიანაშვილმა, ნ. მოსეშვილმა, პ. ბახტურიძემ, ლ. ჭუბაბრიამ და ა. ყიფიანმა.

დისპუტზე საბოლოო სიტყვით გამოვიდა კულტურის მინისტრის მოადგილე გრიგოლ ფოფხაძე, რომელმაც შეაჯამა დისპუტის მუშაობა და აღნიშნა ნ. ჩაჩავას კარგი მოხსენება, რომელიც კარგ ფორმაშიც იყო წარმოდგენილი.

ამხ. გ. ფოფხაძე შეეხო მხატვრული კითხვის საღამოების მოწყობის საკითხს და აღნიშნა მისი აუცილებლობა. „ჩვენ ვიცით რა დიდი დიპაზონი აქვს მხატვრულ კითხვას, მაგრამ თვით ფორმა მისი გადმოცემისათვის სრულიადაა მივიწყებული. განა მხატვრული კითხვა, ეს საუცხოო ჟანრი ესტრადისა, დავიწყების ღირსია? და განა შეიძლება მხატვრული კითხვით ჰოპულარიზაცია არ გაუკეთოთ ჩვენს კლასიკურ და თანამედროვე ნაწარმოებებს? საყვედური მართებულია. ამ მხრივ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი.“

— რაც შეეხება თვითმოქმედი კოლექტივებს (მოდერნისტული მანერის კვარტეტებს, სექტეტებს), — ასკენის საბოლოოდ გ. ფოფხაძე, — სამართლიანად არის გაკრიტიკებული მათი არსებობა და მოითხოვს ჩვენს სასტიკ კონტროლს.

დისპუტის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს თავმჯდომარის მ. მრეველიშვილის წინადადება იმის შესახებ, რომ საკითხი ფილარმონიის რეპერტუარის შესახებ გატანილი იქნეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიაზე, ქმედითი დახმარების აღმოჩენის მიზნით.

მაცუკაბელთა გაცვლითი

კონფერენციები

საქართველოს თეატრალური საზოგადოების შემოქმედებითი მუშაობა მიმართულია იქითკენ, რომ რაც შეიძლება მეტად შეუწყოს ხელი თეატრების შემოქმედებით წინსვლას არა მარტო დედა-ქალაქში, არამედ ჩვენი რესპუბლიკის ყველა თეატრში. ცდილობს მონახოს თეატრის მუშაობაში წინსვლისა თუ შეფერხების მიზეზები და ხელი შეუწყოს პირველ შემთხვევაში მათ გაღრმავებას, ხოლო მეორე შემთხვევაში დაეხმაროს თეატრს მათ აღმოფხვრაში.

თეატრების შემოქმედებითი ზრდის მიზნით საზოგადოება სხვადასხვა ღონისძიებას ატარებს; მათ შორის მაცურებელთა კონფერენციების მოწყობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა. ასეთი კონფერენციები გასული წლის ოქტომბერ-ნოემბერ-დეკემბერში ჩაატარა ბათუმსა და სოხუმში, გორსა, თელავსა და ცხინვალში. ამ კონფერენციებში მონაწილეობა მიიღეს მაცურებელთა, რეჟისორების, მსახიობების, მხატვრების, დრამატურგებისა და თეატრმცოდნეებისა.

კონფერენციებზე წამოკრილი მთელი რიგი მტკივნეული საკითხი ატარებდა მეტად აქტუალურ ხასიათს. მაგ: ორიგინალურ საბავშვო რეპერტუარის უქონლობა, უკეთესი დრამატურგიული მასალის მოთხოვნა მაცურებელთა მიერ და სხვა მრავალი.

მაცურებელთა კონფერენცია პირველად მოეწყო გ. ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო თეატრში. თეატრმა კონფერენციისათვის აჩვენა სამი სპექტაკლი: ვ. გაბესკირიას „შორიალებენ ვერხვები“, რ. მამულაშვილის — „თორტიზელი ქალიშვილი“ და ზაკისა და კუხნიცოვის — „ჯადოსნური ფანქარი.“

13 ნოემბერს მაცურებელთა კონფერენცია გახსნა საქ. თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის წევრმა რესპ. დამსახურებულმა არტისტმა თ. ბაქრაძემ.

ნანახი სპექტაკლების ირგვლივ მოხსენებით გამოვიდა თეატრმცოდნე ვასილ კიკნაძე. მან თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ წარმიადგინელ რეპერტუარიდან ყურადღებას იქცევს ახალგაზრდა ავტორის რ. მამულაშვილის პიესა „თორტიზელი ქალიშვილი“. პიესაში ასახულია ქართველი ხალხის ბრძოლა ფაშისტთა წინააღმდეგ. მართალია, — აღნიშნავს მომხსენებელი, — ამ თემაზე ბევრი პიესა დაიწერა, მაგრამ სხენებულ ნაწარმოებს თავისი საკუთარი ხმა და ინტონაცია აქვს, რის გამოც მას აქვს უფლება იარსებოს ჩვენს სცენაზე და დრამატურგიაშიც. მომხსენებელი დადებითად აუხსებს თეატრის მიერ მის რეპერტუარში შეტანას. შემდეგ მომხსენებელი გადადის რეჟისორის და მსახიობთა ნამუშევარზე და ამბობს, რომ რეჟისორი გ. აბრამშვილი სპექტაკლს სწორ ატმოსფეროში და განწყობაში ატარებს უქმნის და ცდილობს საკუთარი რეჟისორული ხელწერა დამაპყვიდროს. მომხსენებელი განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევს ბრძოლის სცენას სპექტაკლში, რომელიც გამოირჩევა ემოციურობითა და მსახიობური წარმატებით. მსახიობთა შორის მომხსენებელი ახასიათებს: თ. ოსაძის, ნ. ზაღდასტანიშვილის, კ. მარსაგიველის, შალვა ხერხეულიძის, რ. ცაბაძის, ტატულაშვილის სცენურად სადა და ბუნებრივ თამაშს. ამ მსახიობთა თამაში აძლევს სპექტაკლს მაცურებელზე ზემოქმედების დიდ ძალას.

ვ. გაბესკირია პიესაში „შორიალებენ ვერხვები“ აყენებს წინაობრივი ხასიათის საკითხებს და კარგადაც წყვეტს მათ. პიესაში კარგადაა გახსნილი ეს საკითხი და კიდევ უფრო უკეთ რეჟისორ ლ. იოსელიანის ნამუშევარში. სპექტაკლში მშენებრივად ჩანს ლ. იოსელიანის მანერა: ინტიმი, განწყობა, პოეტური სევდა და ოპტიმიზმი. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა II მოქმედების ბოლო სურათი.



სპექტაკლი — ამბობს მომხსენებელი — გამოირჩევა მსახიობთა მწყობრი თანაშით, განსაკუთრებით შესამჩნევია თ. ოსაძე, რომლის სახაც თავიდან ბოლომდე მთლიანი და ლოგიკურია; ვარდენის რამდენადმე სქემატური როლი შ. ხერხეულიძის მსახიობურმა ოსტატობამ და მხატვრულმა ტაქტმა სცენურად გააცოცხლა.

გულწრფელობით გამოირჩევა ვ. მარსა-გიშვილის ბათუ; რ. ლორთქიფანიძე — ელისაბედის სახეს ქმნის თავშეკავებული, ძუნწი და მართალი საშუალებებით. მომხსენებელი საინტერესოდ მიიჩნევს ქ. ბოჭორიშვილის მიერ შექმნილ ბაბილინას ოუმორითა და სვედით სავსე სახეს. საბოლოოდ — ასკენის მომხსენებელი — პიესა კარგათ უძერს რეჟისორული და აქტიორული ნამუშევართ და უთუოდ შემოქმედებით სტიმულს აძლევს თეატრს. შემდეგ ვ. კიკნაძემ აღნიშნა, რომ ჩვენი რესპუბლიკის რაიონის თეატრებიდან გორის თეატრი იმ მცირეთა რიცხვშია, რომლებიც ვულგარდგივთ ზრუნავენ საბავშვო რეპერტუარისათვის. მოზრდილთათვის ზაკისა და კუხნეკოვის ზღაპრის „ჯადოსნური ფანქარი“ დადგმა ამის დამადასტურებელია. პიესა ზღაპრის ფორმით საინტერესოა და დაწერილი სიკეთესა და ბოროტებაზე. რეჟ. გ. აბრამიშვილმა შესძლო სპექტაკლისათვის მოედებნა კარგი ფორმა და სიკეთესა და ბოროტების იდეა მოზარდთა აუდიტორიისათვის ადვილად მისაწვდომი გახადა. დასასრულს მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გორის თეატრს ჰყავს პროფესიული და თავისთავისადმი დი-და პასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალული შემოქმედებითი კოლექტივი და რომ იგი კემპარიტად საიმედო ძალა რესპუბლიკის მოწინავე თეატრებს შორის.

თანამომხსენებით თემაზე გორის თეატრის სპექტაკლების მხატვრული გაფორმება“ გამოვიდა რეჟ. მიხ. გიგიშვილი.

„ასრებობენ უნიკალური ესკიზები, რომლებიც „გაყრას“ პირველ მონაწილეებს წარმოგვიადგენენ. ხსენებული ესკიზები — სთქვა მომხსენებელმა — ნათლად გვიჩვენებენ თუ რა უფრადღებას აქცევდა სპექტაკლის გარეგან ფორმას გიორგი ერისთავი, რომლის სახელს თქვენი თეატრი ატარებს.

ჩანს თქვენ კოლექტივს ახსოვს ეს და შეძლებისდაგვარად კიდევაც ცდილობს მისდიოს დროის შესაბამის ახალ ძიებებსაც და ამასთანავე დაიცვას ზომიერების და ლოლიკის

ის აუცილებელი გრძნობა, რომელიც ყოველგვარ სახიფათო მოდურ ხმებს აგეცილებს და სცენურ სიმაღლის სწორ გაგებას არ უღალატებს. მომხსენებელმა კერძოდ კარგად შეაფასა შ. ხუციშვილის მიერ გაფორმებული სპექტაკლები „თორტიზელი ეპილოგი“ და „შრიალდებენ ვერხვები“. ქაყობა, რომ თეატრის შთ. რეჟისორი გ. აბრამიშვილი სათანადო ზრუნვას იჩენს სპექტაკლის ამ არსებით მხარისადმი. ამასვე მოწმობს გ. აბრამიშვილის მიერ მოკლე ვადაში და ხარისხიანად განხორციელებული საბავშვო სპექტაკლი.

მომხსენების შემდეგ გამართა კამათი. აზრები და სურვილები გამოსთქვეს, რეჟისორებმა ნიკ. გოძიაძეილია, გ. აბრამიშვილმა, თეატრმცოდნე ნ. შენგირაძემ, მსახიობმა რ. ცაბაძემ, მაცურებელმა გ. ორსელმა, ქ. თაშიშვილმა და სხვ.

ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრმა კონფერენციისათვის აჩვენა სანი სპექტაკლი: ფრ. ხალვაშის — „ვახის ტირილი“, ცაო-იუს „ტიაფუნი“ და ნ. დუმბაძის და გ. ლორთქიფანიძის — „მე, ბები, ილიკო და ილარიონი“.

თეატრში მაცურებელთა კონფერენცია ჩატარდა 20 ნოემბერს.

სულმა გახსნა საქ. თეატრალური საზოგადოების სამეცნიერო შემოქმედებითი განყოფილების გამგენ, თეატრმცოდნე ნინო შენგირაძემ. აღნიშნული სპექტაკლების ირგვლივ კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდა თეატრმცოდნე ვასილ კიკნაძე, ხოლო სპექტაკლების მხატვრულ გაფორმებაზე მოხსენება წაიკითხა რეჟისორმა მ. გიგიშვილმა. ვ. კიკნაძემ ილაპარაკა ბათუმის თეატრის ტრადიციებზე და აღნიშნა, რომ თეატრის დღევანდელ მუშაობაში იგრძნობა დაძაბული შემოქმედებითი ცხოვრება, რომ ბევრი სანაქებო აქტიორული სახეა შექმნილი წარმოდგენილ სპექტაკლებში. მომხსენებელმა გაუზარტლებლად ჩასთვალა თეატრის მიერ „ტიაფუნის“ დადგმა იმ მოსაზრებით, რომ პიესას არ გააჩნია იდეურ-ესთეტიკური ღირებულება.

მომხსენებელი თეატრს უწონებს ფრ. ხალვაშის პიესის „ვახის ტირილი“ რეპერტუარში შეტანას. ფრ. ხალვაში — ამბობს იგი — ნათელი პოეტური აზროვნების მწერალია; ეს იდეური გარკვეულობა ახასიათებს „ვახის ტირილსაც“. პიესა ერთხელ





კონებს თუ რა დიდი მსხვერპლის საფასურად დაუჯდა საბჭოთა ხალხს გამარჯვება. იდეა და მხატვრული შესაძლებლობა კონცენტრირებულია მეორე მოქმედებაში. შეუძლებელია მღელვარების გარეშე უყუროთ მურად სარაძის (მსახიობი ი. ცანავა), სევრეთის (მსახ. ნ. საკანდელიძე) და რეზო (მსახიობი კ. გოგიბერიძე) ტრაგედიას. ჩანს რეჟისორ ჯ. შატბერაშვილის როლი სახისა და საერთოდ სპექტაკლის ასე რეალისტურად წარმო-სახევაში.

„ვაზის ტირილი“ — განაგრძობს მომხსენებელი — საყურადღებოა თავისი პრობლემატიკით. მისი საფუძველი ქართული ხალხის ზნეობრივ-ეთიკური პრინციპებია, სპექტაკლი გამოირჩევა პოეტური განწყობილებით. ვაზის სიმბოლიკა, რომელიც პიესას თავიდან ბოლომდე გასდევს, მეტ სიღრმესა და პოეტურ განზოგადებას აძლევს წარმოდგენას.

მომხსენებელი სადაოდ მიიჩნევს „ვაზის ტირილის“ მესამე მოქმედებას, რომელიც მელოდრამატიზმით — ხელოვნური ემოციურობით არის გამსჭვალული და დასძენს, რომ ამ თვალსაზრისით იგი მკაცრ გადახედვას მოითხოვს.

ბათუმის თეატრს არ დაუკლია ცდა, რომ რეპერტუარი თანამედროვეობის ამსახველი პიესებით შეეცხო: ერთი ასეთთაგანია ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, რომელიც უფრო ცოცხალი სურათების თემატური გაერთიანებაა, ვიდრე იმგვარი პიესა, როგორც ეს ტრადიციულად გვაქვს წარმოდგენილი. პიესას საფუძვლად უდევს უღრმესი იუმორი. წარმოდგენა სტილისტურად მთლიანია, რეჟისორ შ. ინასარიძეს და მხატვარ გ. ცერაძეს კარგად აქვთ მოძებნილი სურათების გამაერთიანებელი საშუალებანი, კომპოზიციურად შეუკრავთ მთელი სპექტაკლი და მხატვრულ-სტილისტურ მთლიანობაში წარმოუსახავთ სცენური ცხოვრება, რომელიც ძირითადად ცალ-ცალკე სურათებისა და ეპიზოდების სახით არის პიესაში მოცემული. ილიკო (მ. ჯალაღანია) და ილარიონი (მ. შერვაშიძე) — ეს ორი შესანიშნავი ლიტერატურული ტიპია და მსახიობების წარმატებაც სწორედ ის არის, რომ ორივე ჩინებულად ფლობს სცენურ იუმორს. — მათ მიერ რეალისტურად წარმოსახულ გმირებს სცენაზე მინიჭებული აქვთ ნამდვილი, კეთილი ადამიანების ცხოვ-

რება და მთელი სპექტაკლიც ჰუმანობით არის გამსჭვალული.

ბებიას როლის შეფასებისას მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მსახიობმა ნ. კეკელიძემ ახალი სცენური სიცოცხლე მიანიჭა დრამატურების მიერ შექმნილ ტიპს. ასევე ნაწარმოების საერთო ჰუმანური და ოპტიმისტური პათოსი შეისისხლობრცა და სახიერად გამო-ახატა ი. ცანავამ ხურიკელს როლში. დასასრულს — აღნიშნა მომხსენებელმა — „ვაზის ტირილი“ და „მე ბებია, ილიკო და ილარიონი“ უთუოდ იქცევენ ჩვენი თეატრალური საზოგადოების ყურადღებას, ქართული ორიგინალური პიესების მხარდაჭერა იმის საწინდარია, რომ თეატრი კვლავ უფრო მეტად დაინტერესდებოთ თანამედროვეობის ამსახველი ნაწარმოებებით.

ბათუმის თეატრის სპექტაკლების მხატვრულ გაფორმებაზე მოხსენება წაიკითხა მ. გიფიშვილმა, რომელმაც გამოთქვა ცალკეული შენიშვნები. ასე მაგალითად, „ტიფუნში“ ერთ-ერთ სურათში ქოხს ორი მესასველი აქვს მოქმედი პიონი ნებისმიერ მხრიდან შემოდანი. მხატვრის კი ნებისმიერ გარემოსა და აქტიორს შორის აუცილებელი ურთიერთობა უნდა არსებობდეს.

„ვაზის ტირილში“ თანამედროვე მოწინავე ადამიანი მხატვრმა რატომღაც გოგია უიშვილის ოდაში ჩაასახლა. რომ მხაზველ ინჟინერს სახაზავი დაფაც კი არ გააჩნდეს, დასაშვებია? განა ამას რაიმე ტექნიკური თუ სხვა გამართლება შეიძლება უპოვონო?

შედარებით უკეთაა გაკეთებული სევრეთის ოთახი, აქედან ჩანს, რომ მხატვარ ფილიაოვს შეუძლია უფრო ნაყოფიერად იმუშაოს.

მომხსენებელმა დასასრულს აღნიშნა: ჩვენ განზრახ შეეჩრდილთ ჩრდილოვან მხარეებზე. ისეთი სოლიდური კოლექტივის მიმართ, როგორც თქვენი თეატრია მალალ მოთხოვნილების გარეშე ლაპარაკი ჩვენის აზრით ჩრდილს მიაყენებდა ამ უდაოდ ნიჭიერ ძალთა მქონე კოლექტივს.

საქართველოს ეს განუყოფელი და საამაყო მხარე, ბევრს უცხოელს იზიდავს. ამიტომ ასეთ მაყურებელს, წარმოდგენა თეატრზე, მის კულტურაზე მეტწილად სპექტაკლის ფორმის საშუალებით მიეცემა. ესეც ფრიად გასათვალისწინებელი მომენტია თქვენი თეატრის შემდგომ ნაყოფიერ მუშაობაში.



სპექტაკლების ირგვლივ კონფერენციებზე კამათში გამოვიდნენ რეჟისორი: ნ. გიძი-შვილი, თეატრმკოდნე ნ. შვანგირაძე, მასურებელი ბიბლიოფილი და თეატრის ხელმძღვანელი მ. ხინკაძე.

სოხუმის ქართულმა დასმა კონფერენციისათვის უჩვენა ირი სპექტაკლი: ვ. კანდელაკის „ქართლის ჩირაღდნები“ და ნ. დუმბაძის და გ. ლორთქიფანიძის—„მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, ხოლო აფხაზურმა დასმა სამი სპექტაკლი: ცაო-იუსის „ტიფუნი“, კოპოუტის „როცა ასეთი სიყვარულია“ და ნ. ბასარაის „მოწმენდილი ცა“. 27 ნოემბერს მასურებელთა კონფერენცია გახსნა აფხაზეთის კულტურის მინისტრის მოადგილემ მ. ვახესკირიამ. სოხუმის თეატრის სპექტაკლებზე მიხსენება წაიკითხეს თეატრმკოდნე ნ. შვანგირაძემ და რეჟისორმა მ. გიგიშყრელმა.

მომხსენებელი ნ. შვანგირაძე აღნიშნავს რომ სოხუმის თეატრის ქართულმა დასმა უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გამოასწორა. შემოქმედებითი მუშაობა ცნობილ რეჟისორის ვასილ ყუშიტაშვილის ხელმძღვანელობით: ამის უტყუარ ფაქტს წარმოადგენს უკანასკნელი პერიოდის სპექტაკლები, რომელთაგან მომხსენებელი შეჩერდა „ქართლის ჩირაღდნებზე“. სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის ვ. ყუშიტაშვილს. რომელიც იდი სკენიური სიმართლის მიძიებელი იყო ყოველთვის და ასეთია იგი ამ სპექტაკლშიც. სპექტაკლი მასურებელს ხიბლავს სწორედ ამ სიმართლით, აქტიორული განცდის დიდი სიწრფელით და განსახიერების ძალდაუტანებლობით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სცენა სადგურზე და „შავ ბაზარზე“, სცენაზეა მარტივი „სახაშვი“, არაფერი ზედმეტი და ბუტაფორული.

სოციალური მოტივი განსაკუთრებული გლერადობითაა მოტანილი „შავ ბაზარში“. ფონდაშვილისებური ორთაქალის ტურფების გონივრულ კარგად აქვს ნაჩვენები რეჟისორს ახალი სოციალური ძალის მოსვლა. ამ სპექტაკლის უმთავრესი ემოციური ძალა, — განაგრძობს მომხსენებელი, — მის ანსამბლურობაშია, მასობრივი სცენების დადგმის ოსტატობაში და, რაც უმთავრია, ნაწარმოების უმთავრესი აზრის ნაწილად, მკაფიოდ გადმოცემაში. მსახიობთა მწყობრი თამაში სპექტაკლს მასურებელზე შემოქმედების დიდ ძალას ანიჭებს. მომხსენებელი განსაკუთრებით აღნიშნავს ახალგაზრდა მსახიობის ბორის

წიფურიას მიერ განსახიერებულ პიროვნებას, რომელიც გამოირჩევა სისადავით, უდიდესი გულწრფელობით და იუმორის შესანიშნავი გრძნობით. ახალგაზრდა მსახიობს ბრწყინვალე დეტალებით აქვს დამუშავებული მთელი რიგი სცენები: წერაილის კითხვა, სავარძელში ჩაჯდომა, ბარაკში სჯოკიასთან პირისპირ შეხვედრის სცენა და სხვა.

შესრულების ოსტატობით ხასიათდება თ. ბოლქვაძის მიერ განსახიერებული ნინო და მ. ჩუბინიძის თედო მალალაშვილი; მომხსენებელი დადებით შეფასებას აძლევს მსახიობების ლ. ფილფანის, ვ. ნინიძის, ს. კალანდაძის, ვ. სალაყაიას და ტ. ხორავას თამაშს.

სპექტაკლს „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, რომლის დადგმა ეკუთვნის რეჟ. ლ. ჭედისას, მომხსენებელი ძირითადად დადებით შეფასებას აძლევს, იწონებს რეჟისორის ნაშუუგვარს, განსაკუთრებით პირველ მოქმედებას, სცენას ქვევრთან და სხვა, ოღონდ არ ეთანხმება ციკრას სახის ამოღებას სპექტაკლში იმ მოსაზრებით, რომ ციკრას როლი აძლიერებს ზურციკოს ხასიათს, მის თანმიმდევრულობას და სინტიციეს დადებითად აფასებს მსახიობების თამაშს, რომელთაგან განსაკუთრებით იწონებს ბებიას ქ. დილიძის შესრულებით და ზურციკალს — ბ. წიფურიას შესრულებით. მათ თამაშს, — ამბობს მომხსენებელი, — ახასიათებს ემოციურობა და სახიერება.

თუ წლების მანძილზე სოხუმის თეატრის აფხაზური დასი ერთ-ერთ მოწინავე შემოქმედებით კოლექტივს წარმოადგენდა ამბობს მომხსენებელი მ. გიგიშყრელი — შემდეგ მასი შემოქმედებითი დონე დაბლა დაეცა. აქ იდგმებოდა სპექტაკლები, რომლებიც თავიანთი პროფესიულობით პრიმიტიულ შთაბეჭდილებას სტოვებდა; დაბალი შეიქმნა უპირველეს ყოვლისა რეჟისორული კულტურა და აქედან გამომდინარე აქტიორული ოსტატობის დონეც, დღეს კი ამ თეატრში სულ სხვა სურათია გადაშლილი. დასი შეიცვალა თბილისის თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულნი ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობებით, სულ რამოდენიმე თვეა რაც აქ სამუშაოდ მოვიდა ამავე ინსტიტუტის კურსდამთავრებული ახალგაზრდა რეჟისორი ნელი ეშმაა. ამ ახალგაზრდობამ აფხაზურ თეატრის სცენაზე ნამდვილი პროფესიონალიზმი და ახალგაზრდული ენთუზიაზმი შემოიტანა. მათ თეატრის



უფროსი თაობის საუკეთესო წარმომადგენლებთან ერთად მთლიანად უცვლელს სახე თეატრს. ამის უტყუარ დადასტურებას წარმოადგენს ნ. ეშბას სპექტაკლი— „როცა ასეთი სიყვარული“ (საიბოლომოდ ნამუშევარი), რომელიც გამოირჩევა საინტერესო რეჟისორული გააზრებით, ნაწარმოების ძირითადი აზრის მკაფიო გამოკვეთით და როგორც მიეკლი წარმოდგენის, ისე ცალკეული ეპიზოდების მახვილგანიერული, სახოვანი ვადაწყვეტილი; სპექტაკლი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ აქტიორული შესრულება მთლიანად მაღალ დონეზე; მათ შორის არ შეიძლება განგებოდ არ ავღნიშნოთ ე. კოკონიას, გ. ზუნბას, ლ. კასლანძის, მათემა ზუნბას, ს. ავუმას და ნ. კამეკას თამაში.

6 დეკემბერს მაყურებელთა კონფერენცია ჩატარდა თელავის ს. ორჯონიკიძის სახელობის სახელმწიფო თეატრში. კონფერენციისათვის ნაჩვენები იყო სამი სპექტაკლი: აკ. წერეთლის „პატარა კახი“, გრ. ბერძენიშვილის — „გული ხელის გულზე“ და ნ. დუმბაძის და გ. ლორთქიფანიძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. მაყურებელთა კონფერენცია გახსნა საქ. თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, ხელ. დამს. მოღვაწემ, დრამატურგმა მიხ. მრეველიშვილმა. მომხსენებელმა ნ. შვანიტაძემ ილაპარაკა თელავის თეატრის ტრადიციებზე, მის დღევანდელ წაყვან მსახიობებზე: თ. ბურბუთაშვილზე, ვ. ჩელთისპირელზე, ა. კუპატაძეზე და გ. კველიშვილზე; შემდეგ გადავიდა რეპერტუარის განხილვაზე და აღნიშნა, რომ ამ თვალსაზრისით თეატრი არ მუშაობს ცუდით, რეპერტუარში შეტანილი აქვს, როგორც ქართული კლასიკა ისე თანამედროვეობის ამსახველი პიესები. კარგია, რომ თეატრს თავის რეპერტუარში აქვს ქართული კლასიკური ლიტერატურის ნიმუში: ა. წერეთლის „პატარა კახი“ (დადგამს. გოდიაშვილის). მაგრამ ეს უფრო მოსაწონი იქნებოდა თუ მას ნამდვილ მალაშხატურულ სცენურ ნაწარმოებად ვაქცევდით, რაც სამწუხაროდ ამ სპექტაკლს აკლია; ვერც გრ. ბერძენიშვილის პიესაზე „გული ხელის გულზე“ ვიტყვიტყვებ. ეს მხატვრულად ნაკლებ დამუშავებული მელოდრამატული ნაწარმოებია, ასეთადვე დარჩა თელავის თეატრის სცენურ რედაქციამაც.

პირდაპირ უნდა ითქვას—ამბობს მომხსენებელი, რომ გუროული კოლორიტით სავსე

დუმბაძისა და ლორთქიფანიძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ ვერ აქვრდა წუნდა-უდებლად კახეთის თეატრის სცენაზე, მაგრამ მიუხედავად ამისა სპექტაკლში მაინც არის შესანიშნავი სახე ზაბლონა მასწავლებლისა, განსახიერებელი თინათინ ბურბუთაშვილის მიერ. კონფერენციაზე აქტიური მონაწილეობა მიიღეს მაყურებელმა სოფლის მეურნეობის საეკლესიოსტმა ით. ჯანაშვილმა, მასწავლებელთა სახლის დირექტორმა მ. ზურაბოვმა, პედინსტიტუტის სტუდენტმა ო. ალხანიშვილმა, რეჟ. პ. ფრანგიშვილმა. აღკუპატაძემ, თეატრმკოდნემ ვ. კიკნაძემ, მაყურებელმა ე. ყარაულიშვილმა, ვ. დათიაშვილმა, ჭანკვეტაძემ, პედ. ინსტიტუტის დოქტორმა ალ. გუნდაძემ და თელავის ქალაქის მღვდელმა თ. ბაღურაშვილმა. ისინი მოითხოვნენ თეატრის უზრუნველყოფას კარგი დრამატურგიული მასალით. მოითხოვენ დრამატურგების მიერ ახალი კახეთის ცხოვრების უკეთესად ასახვას, მოითხოვენ, რომ ცნობილი მსახიობებმა დედაქალაქიდან ცალკეული როლები შესრულებათ მონაწილეობა მიიღონ მათ სპექტაკლებში და სხვა.

ქ. ხეთაგუროვის სახელობის ცხინვალის დრამატულ თეატრში 1961 წ. 18 დეკემბერს ჩატარებულ მაყურებელთა კონფერენციაზე ოსური დასის სპექტაკლების: ჯ. ფლექტერის — „ესპანელი მღვდელი“ და ე. რემარკის — „უკანასკნელი ვაჩერების“ შესახებ მოხსენებ წაიკითხა რეჟ. მ. გიციმყრელმა, ხოლო ქართული დასის სპექტაკლებზე: ა. ცაგარლის — „ციმბირელი“ და მ. მრეველიშვილის — „ხარბაქანთ კერა“ თეატრმკოდნემ ვ. ლოლაძემ.

მ. გიციმყრელმა მოხსენებაში ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ დღევანდელი ოსური დასი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. შედარებით წინანდელ ნამუშევრებთან თეატრის კოლექტივს დიდი შემოქმედებითი ზრდა ეტყობა. ხაზგასანძლია ის ფაქტიც, რომ თეატრის დასი უკანასკნელ ხანებში შეივსო სამხატვრო თეატრის სტუდიის ახლად დამთავრებულ ახალგაზრდებით, რომელთა სცენური მომზადება მაღალ პროფესიულ დონეზე დგას. ეს გარემოება თვალსაჩინოდ ივარძნობა ნაწახ სპექტაკლებში. ვაარჩია რა აღნიშნული სპექტაკლები მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სპექტაკლი „ესპანელი მღვდელი“ საყურადღებო სცენური ნაწარმოებია, რომელშიც შესრულების მხრივ გამოირჩევიან ლოპესის როლის შემსრულებელი ჩო-



ჩივი და მისი ჩინებული პარტიორი აბაევი. თავისი ანსამბლურობით მოწონებას იმსახურებს „უკანასკნელი გაჩერება“, სადაც აქტიორული შესრულება მაღალ დონეზე დგას. ამ სპექტაკლის განხილვის დროს მომხსენებელი შეეხო თარგმანსაც და შენიშნა მასში რუსული სიტყვების სიჭარბე, რაც მას დაუშვებლად მიაჩნია და გამოსთქვა სურვილი მათი ოსური სიტყვებით შეცვლისა.

ვ. ლოლაძე თავის მოხსენებაში შეეხო რა რეპერტუარის საკითხს აღნიშნა, რომ კ. ხეთაგუროვის სახელობის ცხინვალის თეატრის ქართული დასი თანაბარი ყურადღებით ეყიდება როგორც ორიგინალურ კლასიკურ პიესების დადგმის საკითხს, ისე საბჭოთა ორიგინალურ დრამატურგას. განიხილავს რა ამ სპექტაკლებს, მოახსენებელი განსაკუთრებულ შეფასებას აძლევს „ციმბირელში“ ვ. საჩაღელის თამაშს მაზუთიანის როლში და აღნიშნავს, რომ ა. ცაგარლის პიესების გმირთა გაღვრეაში ერთ-ერთი საპატოი ადგილი ვ. საჩაღელის მაზუთიანს უნდა მიეკუთვნოს. დადებითად აფასებს მსახიობების: პლიევას—ნარგიზას, ცხოვერებოვის—სტეფანეს, ბასიევის—ნიკოლის როლების შესრულებას.

„ხარატანთ კერაში“ მომხსენებელი იწონებს მსახიობთა ნამუშევარს და აღნიშნავს, რომ ნაწარმოების იდეა მათ მიერ სწორად არის მოტანილი.

მხატვრობის შესახებ მოხსენება წაიკითხა მხატვარმა კ. კუკულაძემ. მან აღნიშნა ის დიდებით და კარგი, რაც ყურადღებას იქცევს ამ სპექტაკლებში და მიუთითა იმ ზოგიერთ ნაკლებზე, რაც უთუოდ უნდა გამოსწორდეს. ასე მაგალითად: „ესპანელ მღვდელში“ იწონებს მხატვარ ვაგლოევის ნამუშევარს, „უკანასკნელ გაჩერებაში“ და „ხარატანთ კერაში“ კი პრინციპში სწორად გადაწყვეტილი დეკორაციები შესრულების მხრივ ვერ გამოიყურებიან კარგად. ისინი მოძველებულია, რაც უთუოდ საჭიროებს გაახლებას და საერთოდ, —აღნიშნავს მომხსენებელი, —თეატრი ყოველნაირად უნდა ცდილობდეს სპექტაკლის შენახვაზე, როგორც აქტიორული, ისე დეკორაციული თვალსაზრისით.

ციხვალის მაყურებელთა კონფერენციაზე მონაწილეობა მიიღეს მაყურებლებმა დ.ო. ვ. აბაევი, დამსახ. მასწავლებელმა ვ. კასრადემ, დრამატურგმა ჯუსოევმა, თეატრმკოდნენ. გურაბანიძემ, ფილ. მეცნიერებათა კან-

დიდატმა ს. გაბარაევმა და სამხ. ოსეთის ოლქო კომიტეტის მდივანმა კ. ჯიოევმა. მათ გულსტიკივლით აღნიშნეს, რომ ცხინვალის თეატრის ქართული კოლექტივის მდგომარეობა შემოქმედებითად და მატერიალურად სრულიად უმწეო მდგომარეობაშია და ისინი კატეგორიულად მოითხოვენ თეატრის მდგომარეობის გადარჩევას და მის გამოსწორებას.

პარტიის XXII ყრილობისადმი მიძღვნილი სამეცხაკლავის რესპუბლიკური დათვალიერების შედეგები

იმ მოვლენათა შორის, რასაც უკანასკნელი წლების განმავლობაში ადგილი ჰქონდა ჩვენს თეატრალურ ცხოვრებაში, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო პარტიის XXII ყრილობისადმი მიძღვნილი სპექტაკლების რესპუბლიკური დათვალიერება, რომელიც საქართველოს კულტურის სამინისტრომ და საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ ჩაატარა. ამგვარი ღონისძიება საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკამ განახორციელა და ამიტომ ეს იყო ერთგვარი ანგარიშგება საბჭოთა თეატრალური ხელოვნებისა ჩვენი მაყურებლის წინაშე.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ამ ღონისძიების მნიშვნელობისა, საქართველოს ყველა თეატრმა ვერ მიიღო მასში მონაწილეობა და ეს ხაზგასმით უნდა ითქვას.

ძნელია დათვალიერებაზე წარმოადგენილი ყველა სპექტაკლის დაწვრილებით განხილვა; არც არის დღეს ეს ჩვენი მიზანი.

დათვალიერების ერთ-ერთი დადებითი მხარე ისიც იყო, რომ მასზე ნათლად წარმოდგა მეტ-ნაკლებად სრული სურათი არა მარტო ქართული სასცენო ხელოვნების დღევანდელი მდგომარეობისა. დათვალიერებამ გვიჩვენა არა მარტო ჩვენი რეჟისორული და აქტიორული ოსტატობის დონე, არამედ მან, ასე თუ ისე, სრულად გვიჩვენა აგრეთვე ეხლანდელი სურათი (და არცთუ ძალზე სახარბიელო სურათი) ქართული დრამატურგიის განვითარებისა. დათვალიერების დებულებაში ხაზგასმით იყო აღნიშნული მოთხოვ-



ნა, რომ თეატრებს უნდა განეხორციელებინათ თანამედროვე ავტორთა ახალი პიესები, მიძღვნილი დღევანდელი საკიბორცო საკითხებისადმი. ამიტომ ჩვენი თეატრები იმთავითვე ენერგიულად შეუდგნენ ქართველი დრამატურგების ახალი ნაწარმოებების ძიებას და რასაც მიაკვლიეს, დადგეს კიდევ მართალია, ზოგიერთმა თეატრმა ცუდად დადგა ეს პიესები, სხვებმა უკეთ, მაგრამ ობიექტური სურათი ჩვენი დრამატურგიის დღევანდელი დონისა ამით მაინც არ შეცვლილა.

ქართველი კომპოზიტორებისა და დრამატურგების რა ახალი ნაწარმოებები იხილა ჩვენმა მაყურებელმა დათვალეირების პერიოდში? აი ეს ნაწარმოებები: ირ. გეჯაძის ოპერა „განთიადი“, გ. ცაბაძის მუსიკალური კომედია „შავი ზღვა და თეთრი ლამეები“, შ. მილორავას ოპერეტა „მხოლოდ შენ ერთს“, პ. კაკაბაძის „ცხოვრების ჯაბა“, (გრიბოედოვის სახელობის თეატრში) გრ. აბაშიძის „მოგზაურობა სამ დროში“, რ. ებრაღიძის „თანამედროვე ტრაგედია“, გ. ხუბაშვილის „ზღვის შვილები“, გ. ბერიაშვილის „ვახის ტირილი“, გ. ბერძენიშვილის „ეული ხელის გულზე“, დ. თაქთაქიშვილის „არწივების გარეგნადაი“, თ. იოსელიანის „ჩვენი ერთი საღამო“ და ელ. კვიციანიას პიესა თოჯინების თეატრისათვის „ცრუ პენტელა“. აი, ყველაფერი ის, რაც ქართულმა მუსიკალურმა და დრამატულმა თეატრებმა შეგვძინეს დათვალეირების პერიოდში.

რა თქმა უნდა, ზემოთ დასახელებული ზოგიერთი ნაწარმოები უთუოდ იმსახურებს სერიოზულ ყურადღებას და სცენაზე მათი განხორციელებით გარკვეული წარმატებაც მოიპოვეს თეატრებმა, მაგრამ ჩვენ ასე ვაყენებთ საკითხს: რომელია ამ ნაწარმოებთა შორის ისეთი, რომელიც საეტაპო როლს შეასრულებდა ამა თუ იმ თეატრის ცხოვრებაში, საბოლოოდ დამკვიდრდებოდა ქართულ თეატრის რეპერტუარში და გამამდიდრებდა ჩვენი თეატრისა და დრამატურგიის ეროვნულ საგანძურს?

ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ კუთვნილი არ მივუხლათ და სათანადოდ არ შევადგინოთ გრ. აბაშიძის ან პ. კაკაბაძის შემოხსენებული პიესების მაღალი ლიტერატურული ღირებულება, ბევრი კარგის თქმა შეიძლება ირ. გეჯაძის ოპერის ჩინებული მუსიკის გამო, მრავალ პროფესიულ ღირსებას

უნდა გაესვას ხაზი ახალგაზრდა დრამატურგების — რ. ებრაღიძის, გ. ხუბაშვილის და გ. ბერიაშვილის პიესებში, მაგრამ ვერც ერთი აღნიშნული უკანასკნელი ნაწარმოები ვერ მიუახლოვდა ლიტერატურული, სცენური ანდა მუსიკალური სრულყოფის იმ ზღვებს, რომლის დაძლევა ეპოქალური მნიშვნელობის მხატვრულ კმენილებას ბადებს.

მაგრამ თუ ეს რამდენიმე პიესა მაინც შეიძლება ჩათვალოს გარკვეული ინტერესის აღმძვრელ ნაწარმოებებად, ამას ვერავითარ შემთხვევაში ვერ ვიტყვით იმ პიესებზე, რომლებიც ხშირად იწერება და ზოგჯერ იდგმება კიდევ ჩვენი თეატრებში. ისეთი ისუხეე აიესებისა, როგორც უკანასკნელ წლებშია შესამჩნევი, ალბათ, არასოდეს ყოფილა ჩვენში, მაგრამ ქართულ თეატრს, სამწუხაროდ, მაინც არ შეუძლია იამაყოს კარგი დრამატურგიული კმნილებების სიმრავლით.

* *

დათვალეირებაზე წარმოდგენილი სპექტაკლების შეფასება დავება საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს და საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ შექმნილ სპეციალურ ჟიურის, რომელსაც მწერალი მიხეილ მრველიშვილი თავმჯდომარეობდა.

ჟიურის წევრებმა ნახეს ყველა წარმოდგენა და საგანგებო მსჯელობის შემდეგ დააჯილდოვეს როგორც სპექტაკლების შემქმნელი კოლექტივები, ისე ცალკეული შემსრულებლები ამა თუ იმ სცენური სახისა, აგრეთვე რეჟისორები და მხატვარ-დეკორატორები.


ჟიურის გადაწყვეტილებით საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და საქართველოს თეატრალური საზოგადოების საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ სპექტაკლ „ზღვის შვილების“ (რუსთაველის სახელობის თეატრი), ოპერა „განთიადის“ (ზ. ფლდიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი), სპექტაკლ „ჩვენი ერთი საღამოს“ (სანიტარული კულტურის თეატრი), „ყველაფერი ასე იოლად როდი ხდება“ (მოზარდ-მაყურებელთა რუსული თეატრი) და „თანამედროვე ტრაგედიის“ (სოხუმის სახელმწიფო თეატრის აფხაზური დასი) შემქმნელი შემოქმედებითი კოლექტივები.

სიგელებით დაჯილდოვებულ იქნენ აგრეთვე შემდეგი მსახიობები და რეჟისორები

ბი: რეჟისორი მ. თუმანიშვილი (სპექტაკლი „ზღვის შვილები“—რუსთაველის სახ. თეატრში), რეჟისორი ლ. იოსელიანი („ჩვენი ერთი საღამო“—სანატარული კულტურის თეატრში), რეჟისორი ნელი ეშბა („თანამედროვე ტრაგედია“—სოხუმის თეატრში); მსახიობი ერ. მანჯგალაძე (ბოცოს როლი „ზღვის შვილებში“), მსახიობი მ. ჩახავა (ლილა „ზღვის შვილებში“), მიხ. ვაშაძე (ქრისტოფორე პ. კაკაბაძის პიესაში „ცხოვრების ჯარა“—ჭიათურის თეატრი), ანტ. ბართაშვილი (ლოპიანე „ცხოვრების ჯარაში“—ჭიათურის თეატრი), ნ. ჩაჩანიძე (პლატონ პატარიძე ო. ჩიჯავაძის „ბედნიერი უიღბლო“—ჭიათურის თეატრში), ვ. პროკოპი (ზაიკა (ზოია) სპექტაკლში „ყველაფერი

ასე იოლად როდი ხდება“), ნ. სისქველიძე (მარო მასწავლებელი (ქოტი) სპექტაკლში „ჩვენი ერთი საღამო“) და რ. თავართქილაძე (თამაში „გზა შშვიდობისა“—მოზარდმაყურებელთა ქართული თეატრი).

საბჭოთა კავშირის უდიდეს კულტურულ ცენტრებში — მოსკოვში, ლენინგრადში და კიევში შემოქმედებითი მივლინებებით დაჯილდოვდნენ ოპერა „განთიადის“ მხატვარი კ. კუკულაძე, სანკულტურის თეატრის მსახიობი ოთ. მელვინეთუხუცესი (ლენინგრადი), სოხუმის თეატრის მსახიობები ვ. ნინიძე და ბ. წიფურია, თელავის თეატრის მსახიობი ვ. ჩელთისპირელი (მოსკოვი), გორის თეატრის მსახიობი რ. ცაბაძე და ბათუმის თეატრის მსახიობი ნ. წერეთელი (კიევი).



საქართველოს თეატრალურ საზოგადოების რეჟისორთა სექციის თავმჯდომარემ პროფ. აკაკი ფალავამ წაიკითხა მოხსენება: „ჰამლეტი“ მარჯანიშვილისეული დადგმის რეჟისორული ეგზემპლარი“.

მოხსენებელმა დეტალურად გაარჩია რეჟისორის მიერ ჩატარებული მუშაობა. „მარჯანიშვილის სპექტაკლი,— აღნიშნა მოხსენებელმა,— ყოველთვის ხასიათდებოდა მძაფრი დინამიკურობით. ამიტომ იგი ყოველგვარ მოვლენას, რაც კი სპექტაკლის დინამიკურობას ხელს უშლიდა, სასტიკად ებრძოდა. ამ დებულებათა ბრწყინვალე დადასტურებას წარმოადგენს კ. მარჯანიშვილის მიერ „ჰამლეტის“ ტექსტის მარჯანიშვილისეული მონტაჟი“.

მარჯანიშვილს, არსებული 20 სურათი 15-მდე დაუყვანია, ხოლო დადგმის დროს მოქმედების ადგილი კიდევ უფრო შეუმჭიდროვებია. გარდა ტექსტის შეკვეცისა, კ. მარჯანიშვილი ზოგიერთ გადაადგილებას ფსიქოლოგიურად ამართლებდა.

პროფ. აკ. ფალავამ მთელი რიგი საინტერესო ცნობა მიაწოდა მსმენელებს, ფრცხლად ილაპარაკა რეჟისორულ ეგზემპლარის სპეციფიკურ, სცენურ ღირსებებზე. ამასთანავე აღნიშნა, რომ რეჟისორის მიერ შეკვეცილი ტექსტი ზოგან უხერხულობას ქმნის და დღევანდელი თვალსაზრისით კრიტიკულ მიდგომას მოითხოვს.

პროფ. აკ. ფალავას მოხსენება შეიცავდა მრავალ ფაქტობრივ ცნობას. ამიტომ თავის-

თავად მნიშვნელოვანი ნაშრომი დიდ სამსახურს გაუწევს იმ მკვლევარებს, რომლებიც მთელ რიგ სპეციფიკურ საკითხების შესწავლას მოინდომებენ.

მონოლოგი „ყოფნა—არყოფნა“ კ. მარჯანიშვილს გადმოტანილი აქვს მე-3 მოქმედებიდან მე-2 მოქმედების დასაწყისში. ფრიად საინტერესოა, რომ რეჟისორი— შექსპიროლოგი გრენვილ ბარკერი „ჰამლეტის“ ისტორიულად პირველსა და მეორე ვარიანტის შედარებიდან ასკვნის, რომ ტრაგედიის პირველ გამოცემაში სიუჟეტი უფრო დინამიკურად ვითარდება, ვიდრე შედარებით მოკვიანო ხანის ვარიანტში, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი პირველთან შედარებით სხვა მხრივ მეტი უპირატესობით გამოირჩევა.

საგულისხმოა, რომ „ჰამლეტის“ პირვანდელ ვარიანტში ცნობილი მონოლოგი ასევე წინ ყოფილა გადმოტანილი. (იხ. ნ. ზუბოვას „ჰამლეტის“ ორი ვარიანტი, შექსპირის კრებული, მოსკოვი, 1958 წ.).

მოხსენების გარშემო გამართულ აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღეს ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწეებმა: მ. მრეველიშვილმა, მ. ჯაფარიძემ, ს. ჭელიძემ, ნ. გომიაშვილმა, ლ. იოსელიანმა, ტელესტუდიის მთავარმა რეჟისორმა შ. ქარუხნიშვილმა, თეატრალური საზოგადოების სამეცნიერო-შემოქმედების განყოფილების გამგემ ნ. შვანგირაძემ და რეჟისორთა სექციის თავმჯდომარის მოადგილემ მ. გიეიშვილმა.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების საქმიანობა

1961 წლის III და IV კვარტალში

გარდა იმ ღონისძიებებისა, რომლებიც ჩატარებულია 1961 წლის პირველ და მეორე კვარტალში და რომელთა ანგარიშებიც მოთავსებულია ჩვენი „მოამბის“ მეორე, მესამე და მეოთხე ნომერებში, საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ მე-3 და მე-4 კვარტალში ჩაატარა აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებებიც.

დიდი ქართველი პოეტის ვაჟა-ფშაველას საიუბილეო დღეებში საზოგადოებამ დუშეთის რაიონში მიავლინა ბრიგადა კომპოზიტორ არ. ჩორგოლაშვილის მსახიობების: ტ. საყვარელიძის, ვ. ტატიშვილისა და დრამატურგ ალ. თაბორიძის შემადგენლობით. ბრიგადის წევრებმა დუშეთის სახალხო თეატრში მოამზადეს სპეციალური პროგრამა, მიძღვნილი ვაჟა-ფშაველას საიუბილეო დღეებისადმი. ამავე დროს თვითელმა მათგანმა დუშეთის სახალხო თეატრის კოლექტივსა და რაიონის სხვა სოფლების თვითმოქმედ წრეებში წაიკითხეს მოხსენებები: არ. ჩორგოლაშვილმა თემაზე: „მუსიკა სპექტაკლში“. ტ. საყვარელიძემ „კულტურის სახლთან არსებული თვითმოქმედი დრამატრის სასტრადო ნომრების მომზადება“, ვ. ტატიშვილმა—„მსახიობის მუშაობა სპექტაკლში“ და ალ. თაბორიძემ—„ვაჟა-ფშაველას დრამატული ნაწარმოებები“.

ამავე პერიოდში სხვადასხვა დროს საზოგადოების მიერ მივლინებულმა ბრიგადის წევრებმა და ცალკეულმა სპეციალისტებმა ნახებ და დასწრე განიხილეს როგორც სახელმწიფო, ისე სახალხო თეატრების სპექტაკლები: ბათუმის სახელმწიფო თეატრში „ვახის ტირილი“, „გზაბანეული შვილი“, „ფეხბურთელები“ და „კიკვიე“ (ნ. შენაგირაძის და ი. მეგრელიძის შემადგენლობით), თელავში „ჩემი მეომარი“ და „ვახის ტირილი“ (ნ. ჩაჩავა-ჯავახიშვილი, შ. მაჭავარიანი); სოხუმის თეატრში—„მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ და „გზაბანეული შვილი“; ქუთაისის თეატრში—„უმზიფო“, „ქუთათურები“ და „კიგო და გუგას მილონიები“ (პროფ. აკ. ფალავა) კი-

დედ ბათუმის თეატრში—„ხანუმა“ და „ვახის ტირილი“ (თეატრმკოდნე ვ. ლოლაძე), სახალხო თეატრებში—ამბროლაურისა—„ნ. ბარათაშვილი“ და „აფროდიტეს კუნძული“ (აკ. გეწაძის თარგმანი); ზუგდიდის სახელმწიფო თეატრში—„მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ და „ერთხელ დახოცილები“ (კ. გაწერელია). ჩოხატაურის სახალხო თეატრში—„ჩემი შვილი“ და „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ (მიხ. ჯაფარიძე); ყვარლის სახალხო თეატრში „ჯადო“ (პ. ფრანგოშვილი) და სხვ.


გარდა ამისა სკკპ XXII ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით საზოგადოების ხაზით სახელმწიფო თეატრებსა, სახალხო თეატრებსა და კულტურის უნივერსიტეტში ჩატარდა სხვადასხვა შემოქმედებით და თეორიულ საკითხებზე მოხსენებათა ციკლი. ასე მაგალითად, ბათუმის თეატრში—„კომუნიზმის მშენებლობის პროგრამა და საბჭოთა თეატრის ამოცანები“ მომხს. ალ. ადამია; გორის, ცხინვალისა და ბორჯომის სახალხო თეატრში—„სკკპ ახალი პროგრამის პროექტი და საქართველოს თეატრალური საზოგადოების ამოცანები“—მომხს. ნ. გოძიაშვილი; ხაშურის, ყვარლის სახალხო თეატრებში და თელავში „გორგი არაღელი-იშხნელის ცხოვრება და შემოქმედება“ და „ვასო აბაშიძის ცხოვრება და შემოქმედება—მომხს. პ. ფრანგოშვილი;—ჭიათურის სახელმწიფო თეატრში „ქორეოგრაფია თეატრში—მომხს. ი. მუზაშვილი, ლანჩხუთის სახალხო თეატრში—„ირეისორისა და მსახიობის მუშაობა სპექტაკლის შექმნაზე“—მომხს. ვ. მურღულია, ბათუმის სახელმწიფო თეატრში—1. „სპექტაკლის ენა“—მომხს. ი. მეგრელიძე და 2. „თეატრის რეპერტუარი“—მომხს. ნ. შენაგირაძე, ყვარლის სახალხო თეატრში—„სკკპ XXII ყრილობა და სახალხო თეატრების ამოცანები“; და „კ. მარჯანიშვილისა და ალ. ახმეტელის შემოქმედებითი ურთიერთობა“—მომხს. შ. მაჭავარიანი და სხვა.

გარდა ამისა ჩვენ საზოგადოებას არ დავი-

წყნია კულტურის სახლებთან არსებული თვით-
მოქმედი წრეები. რუსთავის მეტალურგი-
ული ქარხნის კულტურის სახლის დრამწრეში
ნახა სპექტაკლი და მოხსენება წაიკითხა მიხ.
გიფიშვილმა, თელავის ძაფსახევი ფაბრიკის
თვითმოქმედ წრეში ნახა სპექტაკლი „ნაცარ-
ქექია“ და მოხსენება წაუკითხა დრამწრის
კოლექტივს რესა. სახ. არტ. პ. ფრანგიშვი-
ლმა. ასევე სპექტაკლები ნახა მანგლისის კუ-
ლტურის სახლთან არსებულ დრამწრეში თე-
ატრმცოდნე ნ. შენგირაძემ. მანვე წაიკითხა
მოხსენება „დრამატული წრის რეპერტუარის
შედგენა“ და ქართული თეატრი“. ამავე პე-
რიოდში საზოგადოების ხაზით კულტურის
უნივერსიტეტების მსმენელთათვის წაკით-
ხული იქნა შემდეგი მოხსენებები: რუსთავის
კულტურის უნივერსიტეტში — „სკკპ ახალი
პროგრამის პროექტი და ადამიანის მორა-
ლური სახე“ — მომხს. ი. თავაძე, „კოტე მა-
რჯანიშვილი და ქართული თეატრი“ — მომხს.
დ. ჯანელიძე, „გრიბოედოვი და საქართვე-
ლო“ — მომხს. ნ. შალუტაშვილი, „როგორ

წავიციოთ გრიბოედოვი“ — მომხს. ბ. სიგიაშვილი და „კომედია კინოში“ — მომხს.
რესპ. სახ. არტ. აკ. კვანტალიანი. სოხუმის
კულტურის უნივერსიტეტში — „საბჭოთა თე-
ატრის ამოცანები“ — მომხს. სსრ კავშირის
სახ. არტ. აკ. ხორავა და „მარქსისტულ-
ნინური ესთეტიკის ცალკეული საკითხები“ —
მომხს. ი. თავაძე.

გარდა ამისა საზოგადოების სამეცნიერო
შემოქმედებით განყოფილების რეჟისორთა
სექციის ხაზით მოეწყო თბილისის თეატრე-
ბის შემოქმედ მუშაკებისათვის პროფ. აკ.
ფაღავას ლექცია თემაზე: „ჰამლეტის დად-
გმის მარჯანიშვილისეული გეგმა“, ხოლო რუ-
სულ მოზარდ მაცურებელთა თეატრთან ერ-
თად განიხილა ამავე თეატრის სპექტაკლები
„ყველაფერი ეს ადვილი როდია“ და „დიშკა
ხევიდიშკა“, აღნიშნული სპექტაკლების გან-
ხილვაშიაც გარდა თეატრის მუშაკებისა მო-
ნაწილეობა მიიღეს აგრეთვე თბილისის გა-
ნათლებლის განყოფილების მუშაკებმა, პედა-
გოგებმა და მოსწავლეებმა.



КРАТКАЯ АННОТАЦИЯ

Решения XXII съезда КПСС и задачи Театрального Общества

О значении XXII съезда КПСС — съезда строителей коммунизма. О задачах, которые поставил XXII съезд перед советским театральным искусством: создать произведения, соответствующие эпохе коммунизма и тем самым принять активное участие в деле воспитания и формирования нового человека — строителя коммунизма. Театральные деятели Грузии хотят внести свою лепту в дело строительства коммунизма.

Для этого работник искусства сам должен обладать качествами, которые необходимо развивать в зрителе. Это одинаково касается как практиков, так и теоретиков искусства театра и обязывает всех членов Театрального Общества в решениях конкретных вопросов грузинского театрального искусства руководствоваться этой целью — будить общественно-полезную, нужную для победы коммунизма мысль.

Обсуждение гастрольных спектаклей Днепропетровского гос. драматического театра им. Т. Шевченко

Обсуждение состоялось 24 июля. Открыл заседание председатель президиума Театрального Общества засл. деят. иск. М. Мрвалишвили. Докладчик доц. Н. Палуташвили говорила о давнишней исторической дружбе между украинским и грузинским народами, затем проанализировала спектакли. Похвалила репертуар, но и ответила отдельные недостатки литературного материала, а также режиссерских и актерских работ. Общим недостатком почти всех спектаклей признала злоупотребление песнями и танцами.

О художественном оформлении гастрольных спектаклей докладывал засл. деят. иск. художник К. Кукуладзе. Он говорил о новой школе театрально-декоративного

искусства Украины. Подчеркнул стремление театра каждый раз по-разному решать спектакли декоративно, приглашая все новых художников. В результате этого несколько пострадал общий индивидуальный облик театра. Лучшим оформлением считает декорации художника В. Борисенко к спектаклю «Шумит Днепр».

В прениях приняли участие режиссеры М. Вахнянский, М. Гижимкрели и др.

Главный режиссер театра им. Шевченко Белгородский согласился с замечаниями, выступающих, говорил о трудностях в решении творческих вопросов и о том как обогащают такие творческие встречи коллектив театра.

«Латерна Магика» в Грузинском Театральном Обществе

31 июля в салоне Театрального Общества грузинская театральная общественность встретилась с деятелями «Латерны Магика». Цель встречи — узнать историю создания этого необычного представления, его дальнейшие цели и перспективы. От имени Театрального Общества гостей приветствовал председатель президиума М. Мрвалишвили, затем режиссер Д. Алексидзе. От имени гостей выступил один из

ведущих актеров «Латерны Магика» Г. Степко. Он рассказал о создании «Латерны Магика», о работе, о перспективах. Они главным образом заключаются в создании формы интересного обозрения, а в дальнейшем сюжетно-тематических спектаклей, которые будут по-настоящему художественными произведениями.

В обсуждении приняли участие журналист О. Эгадзе, режиссер М. Гижимкрели, кинорежиссер Н. Савишвили и др.

С 1 по 28 августа 1961 г. в Тбилиси гастролировал Львовский театр Советской Армии. К концу гастролей Театральное Общество Грузии устроило обсуждение. После вступительного слова председателя президиума М. Мревалшвили с докладом о гастрольных спектаклях выступил режиссер М. Гижимквели. Он говорил об успехе львовского театра, подробно остановился на репертуаре, отдельно разобрал каждый спектакль. М. Гижимквели высоко оценил постановку „Царя Федора“ А. Толстова, особо выделив исполнителя главной роли С. Харченко. Обстоятельно разобрав работу режиссеров и актеров и в других спектаклях, он дал высокую оценку общему уровню режиссуры и актерского мастерства.

Об оформлении спектаклей докладывал художник К. Кукуладзе. Он дал положительную оценку оформлению спектаклей „Иркутская история“ (худ. Чернышев) и „Океан“ (худ. Ворчегин). Отметил высокий уровень исполнения костюмов, использования света и шумов.

Драматург О. Чиджавадзе подробно остановился на спектакле „Кресло № 16“, который с его точки зрения заслуживает внимания как в драматургическом, так и постановочно-исполнительском отношении. Театровед Н. Урушадзе говорила о важности гастролей театров братских республик, подробно остановилась на разборе образов актеров Чижиковой и Аркадзева. Режиссер Ш. Карухнишвили говорил о творческом росте львовского театра, о высоком уровне режиссуры и актерского мастерства, о творческом лице его коллектива в целом. Критиковал спектакль „Остров Афродиты“, лучшим спектаклем признал „Царя Федора“.

В заключение выступил главный режиссер театра В. Лизогуб. Он рассказал о том, как ожидал коллектив театра встречу с взыскательным зрителем Тбилиси, о радостях, связанных с успехом гастролей, благодарил Театральное Общество, коллектив театра им. Грибоедова и всю театральную общественность Тбилиси за теплый прием и постоянную дружескую поддержку.

Конференции зрителей

Творческая работа Театрального Общества Грузии направлена на всемерное содействие успехам театров столицы и периферии. С этой целью проводились и зрительские конференции. В конце прошедшего года конференции были проведены в Ба-

туми, Сухуми, Гори, Телави и Цхиввали. В них принимали участие зрители, режиссеры, актеры, художники, драматурги, театроведы. Спектакли обсуждались обстоятельно и принципиально.

ДИСПУТ

Обсуждение репертуара Грузфилармонии

Театральное Общество Грузии, Министерство культуры и драмсекция Союза Писателей Грузии 9 декабря 1961 г. обсудили репертуар Грузфилармонии. Наряду с достижениями выступающие отмечали и много недостатков. Основной причиной

слабой работы филармонии они сочли отсутствие высокохудожественной эстрадной драматургии. В качестве примера был разобран репертуар некоторых бригад. Единодушно были отвергнуты попытки народирования произведений классики и безвку-

შიდა в литературном материале песен. Всячески подчеркивалась необходимость тесной связи между писателем и композитором. Многие высказывались за целесооб-

разность периодически устраиваемых вечеров поэзии и художественного чтения с целью популяризации классических и современных произведений.

Итоги республиканского смотра спектаклей, посвященных XXII съезду КПСС

Министерство культуры и Театральное Общество Грузии провели смотр спектаклей, посвященных XXII съезду КПСС. Смотр показал идейный и художественный уровень нашей драматургии и театра на современном материале. Жюри возглавлял

председатель президиума Театрального Общества Грузии М. Мревлишвили. Лучшие исполнители и постановщики были награждены почетными грамотами и творческими командировками в Москву, Ленинград и Киев.

В режиссерской секции

Председатель секции проф. А. Пагава прочел доклад на тему: „Режиссерский план „Гамлета“ в постановке К. Марджанишвили“. Докладчик подробно рассказал о всех изменениях в тексте пьесы (сокращения, перемещения, монтаж и др.) кото-

рые были произведены К. Марджанишвили с целью достижения максимальной концентрации главной мысли спектакля и предельной его динамичности. После доклада развернулись прения.

Мероприятия Театрального общества Грузии, проведенные в III и IV квартале 1961 г.

В дни юбилея Важа Пшавела в душевский район была направлена бригада, которая в коллективах народных театров подготовила специальную программу, посвященную юбилею великого писателя. Были прочитаны лекции на темы: „Музыка в спектакле“, „Работа актера в спектакле“, „Драматургия Важа Пшавела“ и др. На местах обсуждались спектакли батум-

ского, телавского, сухумского, кутаисского, зугдидского, чохатаурского, кварельского и других профессиональных и народных театров. В связи с XXII съездом в государственных и народных театрах, университетах культуры и самодеятельных кружках были прочитаны лекции на актуальные вопросы современного театрального искусства.

ს ა რ ჩ ე ვ ი

გვ.

სკკბ XXII ყრილობის გადაწყვეტილებები და თეატრალური საზოგადოების ამოცანები . . . 3

დისკუსიები, შეხვედრები

ტ. გ. შეფჩენკოს სახელობის დნებროპეტროვსკის სახელმწიფო დრამატული თეატრის საგასტროლო სპექტაკლების განხილვა	6
„ლატერნა მაგიკა“ საქ. თეატრალურ საზოგადოებაში	9
ღვოვის საბჭოთა არმიის თეატრი თბილისში	10
საქართველოს ფილარმონიის რეპერტუარის განხილვა	13

კონფერენციები, კონკურსი

მაყურებელთა გასვლითი კონფერენციები	16
პარტიის XXII ყრილობისადმი მიძღვნილი სპექტაკლების რესპუბლიკური დათვალიერების შედეგები	21
რეჟისორთა სექციაში	24
ქრონიკა	25

СО Д Е Р Ж А Н И Е

Решения XXII съезда КПСС и задачи Театрального Общества Грузии	стр. 3
--	-----------

Диспуты, встречи

Обсуждение гастрольных спектаклей Днепропетровского драматического театра им. Т. Шевченко	6
„Латерна Магика“ В Театральном Обществе Грузии	9
Львовский театр Советской Армии в Тбилиси	10
Обсуждение репертуара Грузфилармонии	13

Конференции, конкурс

Выездные зрительские конференции	16
Итоги республиканского смотра спектаклей, посвященных XXII съезду КПСС	21
В режиссерской секции	24
Хроника	25

На правах рукописи

Т. О. Г.

В Е С Т Н И К

ТЕАТРАЛЬНОГО ОБЩЕСТВА ГРУЗИИ

(на грузинском языке)

Тбилиси—1961

№ 4 (18)